

გაზეთი ბეჭედი „ვერსი“ ერთი

# ვერსი

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№40 (1066) 10 - 16 აპრილი, 2015 წელი

**გილოცავთ  
აღდგომის  
ბრწყინვალე  
დღესასწაულს!**

## შაქრო კალაშოვი უდესიანი-ხარძიანის დავას მოსკოვში არკვევს?



რაცომ თქვა უარი გია უდესიანმა სვანურ  
სასამართლოზე ბესო ხარძიანის სიცოცხლეში  
და არის თუ არა ფარული ჩანაწერები და  
ქადის სიფყვა სვანებისთვის მცვიცებულება

გვ. 3

**განდაცვის სამინისტროსა  
და საერთაშორისო  
საკონსულტაციო ჯგუფს შორის  
შემორანდები გაფორმდა**



გვ. 9

**დავით სარგაძე:** „ყვედაფერს  
გავაკეთებთ, რათა ჩვენს  
პაციენტებს საბლვარგარეთ  
მკურნალობა არ დასჭირდეთ“

**აქონოვიკის მინისტრი სახელმწიფო უსყიდვებში  
მონაწილე კომპანიებს კომპენსაციას ჰპირდება**

რა კრიტერიუმებით შეარჩევენ კომპანიებს და რა  
რაოდენობის თანხას მისცემს მათ სახელმწიფო გვ. 5

**სად გადის ზღვარი პოლიტიკურ  
ბრძოლასა და სახელმწიფო  
საიდუმლოს გასაქმან შორის**



გვ. 4

**ქალაქობრივი ქვედაბებისკენ  
საჯარო მოწოდება დასჯალი ხდება**



გვ. 2

შულის გამღვივებლებს 2-დან  
5 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ

**„უნდა იბრძოლო, ჟიჟიას გყუილია და მკურნალობას,  
თუ ფსიქოლოგიურად არ ხარ ძლიერი“**

დეივებით დაავადებული ვეკო ბუჩუკურის  
ბრძოდა სიცოცხლისთვის გვ. 7



# „მათი სახელები მუდამ ღარჩაბა თავისუფლებისთვის ბრძოლისა და თავგანწირვის გაბაღითა“



## 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 26 წელი გავიდა

დამოუკიდებლობის მოთხოვნით ქუჩაში გამოსულ ქართველებს რუსული ტანკები დაუპირისპირდა. რუსეთის იმპერიამ თბილისში „ხანძრის“ ჩაქრობა ნიშნებით, ცრემლსადენი, მომწამვლელი აირით თუ სხვა საშუალებებით სცადა.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას მაშინ 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ქართველმა ერმა 9 აპრილი ეროვნულ დღესასწაულად და ეროვნული ერთიანობის დღედ გამოაცხადა.

26 წლის წინ, 1989 წლის 9 აპრილს რუსულ ტანკებსა და იმპერიის ჯარისკაცებს ემსხვერპლნენ: ადამია აზა (22 წლის), ბეჟანიშვილი ეკა (16 წლის), გიორგაძე ნატო (23 წლის), დოლიძე თამუნა (28 წლის); ენუქიძე თინა (70 წლის), თოიძე ნინო (25 წლის), კიკვიციანი ზაირა (61 წლის), ლოლაძე მანანა (33 წლის), მამულაშვილი თამარი (50 წლის), ნოზაძე მამუკა (22 წლის), სამარგულიანი ნანა (41 წლის), ჭყონია-სამარგულიანი მარინა (31 წლის), ჭიპაშვილი ელისო (25 წლის), ჭოველიძე თამარი (16 წლის), ჯანგირაშვილი ნოდარი (40 წლის), ჯინჭარაძე მზია (43 წლის), მეღვინე მანანა (23 წლის), ბაშაღვიძელი ნათია (15 წლის), ქვასროლიაშვილი შალვა, ქარსელაძე გია (25 წლის).

9 აპრილის ტრაგედიის წლისთავთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა, პარლამენტის წინ, 1989 წლის 9 აპრილს დალუპულთა მემორიალთან გარდაცვლილთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

„26 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან. ეს უმძიმესი დღე იყო თანამედროვე საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ამავე დღის, ეს დღე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ამ დღეს მშვიდობიანმა, მაგრამ თავგანწირულმა ბრძოლამ ყველა თაობა გააერთიანა და დაღვრილი სისხლის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა მორალური გამარჯვება მოიპოვა. თავისუფლებისკენ სწრაფვა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ვერაფერმა შეაჩერა — 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. კიდევ ერთხელ, ქედს ვიხრი 9 აპრილს დალუპულთა ხსოვნის წინაშე. მათი სახელები ჩვენთვის მუდამ დარჩება თავისუფლებისათვის ბრძოლის, სამშობლოს სიყვარულისა და თავგანწირვის მაგალითად“, — ასე გამოეხმაურა 9 აპრილის ტრაგედიის 26 წლისთავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ლარია** 26 აპრილს.

9 აპრილის მემორიალთან საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** იმყოფებოდა, მეუღლესა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად. მისი თქმით, 1989 წელს რუსთაველზე პატროტების დაღვრილი სისხლი 2 წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში გამოიხატა: „ზუნებრივად, ყოველ წელს პატივს მივავებთ იმ ადამიანებს, ვინც აქ იცავდა ჩვენს მომავალ სახელმწიფოებრიობას და მადლობას ვუბნებით იმ დაღვრილი სისხლისთვის, რამაც დამოუკიდებლობა მოგვცა. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ეს ფაქტი სწორედ იმ ტრაგიკულ მოვლენებს დაუკავშირა, რითაც კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ძალთან რთულ და მნიშვნელოვან გზას“.

ვიცე-პრემიერი **პაპა კალაძე** ტრაგედიას სოციალურ ქსელშიც გამოეხმაურა. მისი თქმით, ეს ტრაგიკული დღე თავისუფლებისკენ სწრაფვისა და ერთობის სიმბოლოდ იქცა: „9 აპრილს დალუპული გმირების სახელები სამუდამოდ იქნება ჩვენს გულში. ეს ტრაგიკული დღე გახდა სიმბოლო ჩვენი ერთობის, ჩვენი ურთიერთსიყვარულის, თავისუფლებისკენ სწრაფვის. ასეთი ერთიანი მას მერე ჩვენ აღარ ვყოფილვართ! ამიტომ დღეს, თითოეული ურთიერთდაპირისპირება, გაუტანლობა და შუღლი გვაშორებს იმ მაღალ იდეალებს, იმ დიდ მიზანს, რის გამოც ეს მსხვერპლი გაიღო საქართველომ. ყოველი სიკეთე, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე, ჩვენი ერთობა და უკეთესი მომავლისკენ სწრაფვის სურვილი — ეს არის მარადიული ხსოვნა საქართველოსთვის თავდადებული გმირების სახელების წინაშე“.

ეკონომიკის მინისტრის, **გიორგი კვიციანი** შეფასებით კი: „მენატრება ასეთი ერთიანობა, როცა მართლაც შეიძლება, ადამიანები ყოფილიყვნენ სოლიდარული საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის იდეის გარშემო. ჩვენ ალბათ, კიდევ მოგვინევს გაერთიანება იმისთვის, რომ ჩვენი ერი გაავამთიანოთ, ადამიანების გულები, ჩვენი ძმების, აფხაზებისა და ოსების გულები გავეართიანოთ, მთლიან საქართველოსთან ერთად, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით“.

9 აპრილს დალუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმაც და მთავრობის სხვა წარმომადგენლებმაც. მათ 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

„ვერსიანიუსი“

# ქალაქობრივი ქვედახეობისკენ საჯარო მოწოდება დასჯადი ხდება



## შუღლის გამლვივებებს 2-დან 5 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ

**ინტე კომახიძე**  
599-95-33-16

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ ქმედებებზე ახალი რეგულაციების შემოღებას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა. საქმე სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებათა იმ პაკეტს ეხება, რომელიც დაახლოებით 2 თვის წინ, იუსტიციის მინისტრმა ტელეთერით დააანონსა. მაშინ ამ პაკეტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და კომიტეტმაც მოსმენა დროებით გადაადო. როგორც ითქვა, მთავრობა ამზადებდა ცვლილებებს, რომელთა მიხედვით, საზღვარგარეთ ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და მათი წევრობის გარდა, დასჯადი ხდება უკანონო ფორმირებებში მონაწილეობა, წვრთნა ან მათში ჩართვის მოწოდება. მაშინ ეს ცვლილება ბევრმა ისე გაიგო, თითქოს, მთავრობა უკრაინაში ქართველი ჯარისკაცების ბრძოლას ამ ფორმით ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ კანონის ავტორებსა და ინიციატორებს ცვლილებათა პაკეტში რამდენიმე დეტალის დაზუსტება მოუხდათ, უმრავლესობის დეპუტატებს კი — თავისმართლება.

სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები, ნაციონალების გარდა, ექსპერტთა ნაწილმა და უკრაინაში პრორუსი სეპარატისტების წინააღმდეგ მებრძოლი „ქართული ლეგიონისა“ და სხვა სამხედრო ფორმირებების ლიდერებმაც გააპროტესტეს. უპასუხოდ რჩებოდა კითხვები — გამოკატრებული კანონით, დაისჯებიან თუ არა უკრაინაში მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცები და საერთოდ, როგორ გავარკვიოთ, ვინ იბრძვის უკანონო ფორმირებაში და ვინ არა? ფრაქცია „ოცნების“ ლიდერმა, **გია ვოლსკიმ** მაშინ ჩვენს კითხვას ასე უპასუხა: „ვისაც უკრაინის სახელმწიფო არმია უკანონო ფორმირებად მიაჩნია, მისი პრობლემაა. ზოგადად, არსებობს საერთაშორისო სტანდარტები, შეფასებები, უშიშროების საბჭოს შეხედულებები, თუ რომელია ეს უკანონო ფორმირება. უკანონოა შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც კანონიერ ხელისუფლებას ებრძვის ან ტერორისტულ საქმიანობას ეწევა. ეს კანონი კი აქტუალური იმიტომ გახდა, რომ მსოფლიოში ვითარება დაძაბულია. შესაბამისად, სახელმწიფო ცდილობს, მძიმე ფონი თავის მოქალაქეებს არ შეამჩნევინოს, მოლაპარაკებები აწარმოოს, გააფართოს კავშირები... თუნდაც ისლამური სახელმწიფოს ბრძოლები, როგორც რეგიონში, ისე საერთაშორისო მასშტაბით, იმდენად გახშირებულია, სახელმწიფოს მხრიდან პრევენციასაჭირო“.

მთელი რიგი განმარტებებისა და დაზუსტებების მერე კი ხმაურიანი კანონი კომიტეტმა პირველი მოსმენით, 7 აპრილს სრულიად უხმაუროდ დაამტკიცა. ხოლო კომიტეტის თავმჯდომარემ, ვახტანგ ხმალაძემ განმარტა, რომ კანონი, რომელმაც საზოგადოებაში აჟიოტაჟი გამოიწვია, უკეთაა დამუშავებული

### პარსიანიუსი

## 12 აპრილს ოქუპირებულ სხივალის რეგიონში შესასვლელად საუხივალური საშუალებები საჭირო არ იქნება



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ოქუპირებულ ცხინვალის რეგიონში გამარტივებული ე.წ. სასაზღვრო რეჟიმი ამოქმედდება და ტერიტორიაზე შესვლის მსურველებს სპეციალური საშუალებები არ დასჭირდებათ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის კავებე-ს ინფორმაციით, გამარტივებული რეჟიმი მხოლოდ 12 აპრილს იმოქმედებს, დანარჩენ დღეებში კი ე.წ. საზღვრის გადასაკვეთად კვლავ სპეციალური საშუალებები იქნება საჭირო: „12 აპრილს ადგილობრივ მცხოვრებლებსა და სტუმრებს შეეძლება თავისუფლად მივიდნენ ეკლესიებში, მოინახულონ ახლოდებები და ცხინვალის, ზნაურისა და ახალგორის ე.წ. სასაზღვრო ზონაში მდებარე საფლავებზე გავიდნენ. აღნიშნულ დღეს ტერიტორიაზე შესვლა, მხოლოდ პასპორტით იქნება შესაძლებელი“.

„პირველი“

# შაქრო კალაშოვი უდესიანი-ხარძიანის დავას მოსკოვში არკვევს?

ლაშა დვალი

მიმდინარე წლის იანვარში, სომხეთის დედაქალაქში კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების ე.წ. სხადნიაკი გაიმართა. მის შესახებ აქტიურად წერდა ქართული მედიაც. როგორც ჩანს, სომხეთის ხელისუფლებას კანონიერი ქურდების პრობლემა არ აწუხებს, რადგან ამ „სხადნიაკისთვის“ ხელი არ შეუშლია და ასობით კანონიერი ქურდი და, მათ შორის უმრავლესობა ძებნილი, ერევანს უპრობლემოდ სტუმრობდა. იქ იყო შაქრო კალაშოვიც, რომელიც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცდილობს, კრიმინალურ სამყაროში არსებული დაპირისპირება დააღწავოს, ომი შეწყვიტოს და ქურდები შეარიგოს. ამას გარდა, კალაშოვის მიზანი ისიც იყო, ახლადგამომცხვარი ქურდებიდან რამდენიმე გაეჩერებინა, რადგან სერიოზული ეჭვი არსებობდა, რომ მათ ეს ტიტული უბრალოდ იყიდეს.

მოლოდინის მიუხედავად, ერევანში მთელი ელიტა არ შეიკრიბა. ვილაცამ შეგნებულად აარიდა თავი იქ ჩასვლას, ვილაცამ ვერ მოახერხა და, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ, „სხადნიაკი“ კონკრეტული გადაწყვეტილებების გარეშე დაიშალა. გარდა შიდა ამბებისა, ერევანში მსხვილ ბიზნესმენებს შორის არსებული დაკვირვება უნდა განხილულიყო და როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ერთ-ერთი მთავარი თემა ან გარდაცვლილ ბესიკ ხარძიანსა და გია უდესიანს შორის დაპირისპირებაც იყო. ერევანში ქართველი კანონიერი ქურდებიდან თითქმის არავინ ჩავიდა და ეს საქმეც ბოლომდე განხილული ვერ იქნა. იმავე წყაროს ინფორმაციით, უდესიანისა და ხარძიანის დაპირისპირების თემა სამომავლოდ გადაიდო და კალაშოვმა, როგორც თბილისელმა, პირდაპირ განაცხადა, რომ ამ ამბავს მოსკოვში გაარკვევდა. ვის მხარეს იყო სიმართლე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამბობენ, რომ ხარძიანს გასამართლებლად უფრო მეტი არგუმენტი ჰქონდა. ახლა კი ბიზნესმენი მკვდარია და, სავარაუდოდ, განხილვაც აღარ მოხდება, თუმცა...

ტელევიზიით გია უდესიანის გამოსვლა, ალბათ, ყველაზე ნახა და ბევრი ამბობს, რომ უდესიანმა მოახერხა თავის მართლება. ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ მას ფარული ჩანაწერები აქვს, რომლებიც სასამართლოს უკვე გადასცა და, რომლის გადაცემასაც სვანების უხუცესთა საბჭოსთვის აპირებს.

„სვანი ვარ მე და სვანია ბესოც. მზად ვარ, სვანური სასამართლოს წინაშე წარვსდგე და, როცა ამ ჩანაწერებს ნახავენ, როცა ნახავენ, რას ამბობს ბესოს და, მაია ხარძიანი, მიხვდებიან, რომ მე ცამდე მართალი ვარ“, — ასეთი გახლდათ უდესიანის განცხადების ძირითადი შინაარსი.

სვანური სასამართლო, თავისი არსით, შეიძლება ითქვას, ყველაზე სამართლიანი და მიუკერძოებელია. მართალია, განაჩენი არცთუ იშვიათად ძალიან სასტიკია, მაგრამ... სამართლიანი ვინც სვანური სასამართლოს არსი იცის, დაგვეთანხმება, რომ უდესიანი, უბრალოდ, საზოგადოებაზე აკეთებდა გათვლას, იმ ხალხზე, ვინც სვანური სამართალი არ იცის. თავად გიამ ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, რომ ფარული ჩანაწერები და, მით უმეტეს, ქალის სიტყვა სვანებისთვის მიუღებელია. რას ამბობდა ბესოს და — მია ხარძიანი, ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან „ქალური მისუსტის გამო, მან შეიძლება ათასი სისულელე თქვას“. ასე ჭრის სვანური სამართალი და ეს უდესიანმა იცის. მთავარი იქნაორედ ბესო ხარძიანი და გია უდესიანი უნდა ყოფილიყვნენ, ისინი უნდა წარმსდგარიყვნენ უხუცესთა წინაშე და მათ უნდა დაეფიცებინათ ხატზე. ხარძიანი მკვდარია. რეალურად, სხვისი მონაყოლი დამაჯერებელიც არ იქნება და დეტალები მხოლოდ გარდაცვლილმა იცოდა, თუნდაც, ის პირადი ურთიერთობის დეტალები, რომელიც უდესიანსა და ხარძიანს შორის იყო.

**და კიდევ ერთი, ყურნალისტმა არ დაუსვა უდესიანს კითხვა, რატომ არ ახსენა ერთხელ მაინც სვანური სასამართლო მაშინ, როცა ხარძიანი ცოცხალი იყო? დანამდვილებით, მტკიცებით ფორმაში ვამბობთ, რომ ხარძიანმა ეს თავის დროზე მოითხოვა და თავის გვარის უხუცესებს უთხრა კიდევ ამის შესახებ, მაგრამ უდესიანი წინააღმდეგი წავიდა იმ მიზეზით, რომ ჩამოვიდა, დამიჭერენო. ახლარა გამოდის? როცა ხარძიანი მკვდარია, უდესიანი სვანური სასამართლოსთვის მზად არის და აღარ დაიჭერენ?! უბრალოდ, მან ზუსტად იცის, რომ ეს სასამართლო ვერ და არ შედგება ბესოს გარდაცვალების გამო და თამამ განცხადებას ამიტომ აკეთებს.**

რაც შეეხება იმ ბატალიონს, რომელსაც თურმე უდესიანი ხელმძღვანელობდა. ამასაც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ — არსებობდნენ ადამიანები (ძირითადად, ყოფილი წყალბურთელები), რომლებიც ამბობდნენ, რომ უდესიანის „კამბანდაში“ იყვნენ. მათ ჰქონდათ საბუთი, რომელშიც გარკვევით ეწერა, რომ ამ საბუთის წარმდგენის ჩხრეკის, დაკავების ან შეკითხვის დასმის უფლება არავის აქვს და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ძალადგამი ვალდებულია, დაემორჩილოს და დაეხმაროს საბუთის წარმდგენს. ანუ, ამ ადამიანებს ყველაფრის უფლება ჰქონდათ და სწორედ ამ ყველაფრის



ნაცომ თქვა უარი გია უდესიანმა სვანურ სასამართლოზე ბესო ხარძიანის სიცოცხლეში და არის თუ არა ფარული ჩანაწერები და ქალის სიტყვა სვანებისთვის მკვიცებულება

უფლების მქონე ადამიანებს ხელმძღვანელობდა უდესიანი. რაც შეეხება ხარძიანის მკვლელობას — ნაციონალური მოძრაობის წევრებმა პირდაპირი მინიშნება გააკეთეს, რომ ბიზნესმენი, შესაძლოა, ძებნილმა შალვა აბულაძემ მოკლა. სამართალდამცავები აგერ უკვე მერამდენედ ამტკიცებენ, რომ აქეთ ფოტორობოტი, რომლის მიხედვითაც მკვლელს ეძებენ, მაგრამ ეს განცხადება საკუთარი უუნარობის გადაფარვის მცდელობას უფრო ჰგავს. საქმე ისაა, რომ არანაირი ფოტორობოტი გამოძიებას არ სჭირდება, რადგან ხარძიანის მკვლელის ფოტოც არსებობს და ვიდეოც. თანაც ვიდეოს ორი რგოლია, ერთი უშუალოდ მკვლელობის დღეს გადაღებული, ერთი კი იმავე კადრების მეშვეობით ამოღებული და ნინა დღეებში გადაღებული. ანუ გამოძიებამ სახეზე ზუსტად იცის, ვინ არის მკვლელი, იცის თმის ფერი, ზომა, წონა და... წარმოდგენა არ აქვს მის ვინაობაზე. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მონაცემთა ბაზაში ეს ადამიანი უბრალოდ არ იძებ-

ნება. თუ პიროვნება არ იძებნება ბაზაში, სავარაუდოდ, იგი ოკუპირებული ტერიტორიიდან შემოსული პიროვნებაც იყო. მეორეს მხრივ, როგორც აბულაძის, ისე ამ შემთხვევაშიც, სამართალდამცავები არაფერს ამბობენ ფულად ჯილდოზე. თუ გახსოვთ, ნინა ხელისუფლების პირობებში საშიშ ძებნილებზე სერიოზული ფულადი ჯილდო იყო დაწესებული და ქართულ მორალს ხანდახან ფულიც რომ წაახმაროს მოქმედმა ხელისუფლებამ, ურიგო არ იქნება. ხიფათში თავის ჩაგდება მხოლოდ მორალისა და მოქალაქეობრივი ვალის გამო ძალიან ბევრს არ სურს.

და მთავარი — არაოფიციალურად, შალვა აბულაძის ლიკვიდაციის ბრძანება გაცემულია. დიდი ალბათობით, ეჭვმიტანილი სამართალდამცავებს ცოცხალი არ ჩაბარდება. თუმცა ხარძიანის მკვლელობას აბულაძეს ნამდვილად ვეღარ დააბრალებენ, რადგან მკვლელის ფოტო და ვიდეო არსებობს და ის აბულაძე არ არის!

## პერსონალი

### „მოუწოდებ შალვა აბულაძეს, ჩაბარდეს პოლიციას და ის კანონის ფარგლებში გასამართლდეს“



მოხდეს, ამაზე საუბარი და არა კანონის შეცვლაზე ან გამკაცრებაზე. ამაზე მუშაობა მიდის“

ისანი-სამგორის სამმართველოს მე-6 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ბექა მარგიშვილი, დეტექტივის თანამშემუნე-გამომძიებელ ვალერიან გრძელმშვილთან ერთად, 4 აპრილს, საღამოს საათებში, თბილისში, ვარკეთილის მეტროსთან, ჯავახეთის ქუჩაზე, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, რა დროსაც მათ გადამომწიების მიზნით პიროვნება შეაჩერეს, აღნიშნულმა პირმა, მოულოდნელად, პოლიციელების მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. სროლის შედეგად ორივე სამართალდამცველი დაიჭრა. ბექა მარგიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა, ვალერიან გრძელმშვილი კი მკურნალობის კურსს გადის. მოკლული პოლიციელი 9 აპრილს კუკის სასაფლაოზე დაკრძალეს.

შს მინისტრი ვახტანგ გომელაური პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილს, შალვა აბულაძეს მოუწოდებს, პოლიციას ჩაბარდეს.

ამის შესახებ ვახტანგ გომელაური ქაშვეთის ტაძარში განაცხადა, სადაც მოკლული პოლიციელის, ბექა მარგიშვილის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა.

გომელაურის განცხადებით, მიმდინარეობს შალვა აბულაძის ძებნის ოპერაცია და იმედს გამოთქვამს, რომ მისი დაკავება მალე მოხდება: „**ვუსამძიმრებ ოჯახს, ეს ადამიანი იყო ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდი ოჯახის წევრი და მე მინდა ყველა იმ მოქალაქეს დიდი მადლობა გადავუხადო, ვინც გაიზიარა ჩვენი გულისტკივლი. ყველაფერს ვაკეთებთ იმ ადამიანის დასაკავებლად და მოვუწოდებ მას, გამოცხადდეს, ჩაბარდეს პოლიციას და კანონის ფარგლებში მოხდეს მისი გასამართლება**“.

შს მინისტრის თქმით, იგეგმება დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიის შიდა დებულებების გამკაცრება და არა კანონის შეცვლა: „**შიდა დებულებების გამკაცრება უნდა მოხდეს, ამაზე საუბარი და არა კანონის შეცვლაზე ან გამკაცრებაზე. ამაზე მუშაობა მიდის**“.

ისანი-სამგორის სამმართველოს მე-6 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ბექა მარგიშვილი, დეტექტივის თანამშემუნე-გამომძიებელ ვალერიან გრძელმშვილთან ერთად, 4 აპრილს, საღამოს საათებში, თბილისში, ვარკეთილის მეტროსთან, ჯავახეთის ქუჩაზე, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, რა დროსაც მათ გადამომწიების მიზნით პიროვნება შეაჩერეს, აღნიშნულმა პირმა, მოულოდნელად, პოლიციელების მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. სროლის შედეგად ორივე სამართალდამცველი დაიჭრა. ბექა მარგიშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა, ვალერიან გრძელმშვილი კი მკურნალობის კურსს გადის.

მოკლული პოლიციელი 9 აპრილს კუკის სასაფლაოზე დაკრძალეს.

„პირველი“

### თურქეთ-საქართველოს შორის ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა

სტამბოლში, თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრმა, თანერ ილდიზმა და საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ ენერჯეტიკის სფეროში გრძელვადიანი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმეს შეთანხმების თანახმად, თურქული და ქართული მხარეები ეცდებიან ერთობლივად დაეგვიანონ და განავითარონ ახალი გენერაციის პროექტები, საჭირო ინფრასტრუქტურა და ელექტროენერჯითი ვაჭრობა. პირველად კავკასიის რეგიონში, 2016 წლის ბოლოსათვის ერთობლივად მომზადდება თურქეთ-საქართველოს შორის დამაკავშირებელი გადაამცემი ქსელის განვითარების ერთობლივი გრძელვადიანი გეგმა. აღნიშნული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება ასევე მოიცავს პიდროენერჯეტიკის, განახლებადი ენერჯის რესურსების ათვისების, ასევე ენერჯეტიკის სფეროში კუთხით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. შეთანხმების საფუძველზე თურქეთის ენერჯეტიკის სფეროს სტრატეგიის ტექნიკური ოპერატორი გაუზიარებს ქართულ მხარეს თავის გამოცდილებას ევროპის ელექტროგადამცემი სისტემების ოპერატორების გაერთიანებაში (ENTSO-E) ინტეგრაციის პროცესის წარმართვაში. აღნიშნულ ორგანიზაციაში გასწავლენის მიზნით საქართველოს ენერჯეტიკის სფეროში სრულად უნდა დააკმაყოფილოს როგორც ევროპული ტექნიკური სტანდარტები, ასევე ევროპული კანონმდებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებიც. ევროპის ელექტროგადამცემი სისტემების ოპერატორების გაერთიანებაში საქართველოს შესაძლო განეწვინება ნიშნავს ევროპულ ენერჯეტიკულ ბაზარზე დაშვების, თავისუფალი და შეუზღუდავი ტრანზიტის, კონკურენტული გარემოს მხარდაჭერისა და ახალი ტექნოლოგიებისა თუ მოთხოვნების იმპლემენტაციის გარანტიას.




თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრმა, თანერ ილდიზმა და საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ ენერჯეტიკის სფეროში გრძელვადიანი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმეს შეთანხმების თანახმად, თურქული და ქართული მხარეები ეცდებიან ერთობლივად დაეგვიანონ და განავითარონ ახალი გენერაციის პროექტები, საჭირო ინფრასტრუქტურა და ელექტროენერჯითი ვაჭრობა. პირველად კავკასიის რეგიონში, 2016 წლის ბოლოსათვის ერთობლივად მომზადდება თურქეთ-საქართველოს შორის დამაკავშირებელი გადაამცემი ქსელის განვითარების ერთობლივი გრძელვადიანი გეგმა. აღნიშნული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება ასევე მოიცავს პიდროენერჯეტიკის, განახლებადი ენერჯის რესურსების ათვისების, ასევე ენერჯეტიკის სფეროში კუთხით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას. შეთანხმების საფუძველზე თურქეთის ენერჯეტიკის სფეროს სტრატეგიის ტექნიკური ოპერატორი გაუზიარებს ქართულ მხარეს თავის გამოცდილებას ევროპის ელექტროგადამცემი სისტემების ოპერატორების გაერთიანებაში (ENTSO-E) ინტეგრაციის პროცესის წარმართვაში. აღნიშნულ ორგანიზაციაში გასწავლენის მიზნით საქართველოს ენერჯეტიკის სფეროში სრულად უნდა დააკმაყოფილოს როგორც ევროპული ტექნიკური სტანდარტები, ასევე ევროპული კანონმდებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებიც. ევროპის ელექტროგადამცემი სისტემების ოპერატორების გაერთიანებაში საქართველოს შესაძლო განეწვინება ნიშნავს ევროპულ ენერჯეტიკულ ბაზარზე დაშვების, თავისუფალი და შეუზღუდავი ტრანზიტის, კონკურენტული გარემოს მხარდაჭერისა და ახალი ტექნოლოგიებისა თუ მოთხოვნების იმპლემენტაციის გარანტიას.

„პირველი“

ოპოზიციამ გადასული ექსპრეზიდენტის, ირაკლი ალასანიას გარშემო პოლიტიკური დებატები ყოფილი თანაგუნდელის მძიმე ბრალდებებში გადაიზარდა. ალასანიას განცხადებებს საქართველოს საპარლამენტო თავდაცვის საფრანგეთისგან გაძლიერების შესახებ, ერთდერითი კონკრეტული რეზოლუციით, რომ ამ ფუნდამენტურ შესაძლებლობაზე უარი ივანიშვილის ბრძანებით ათქმევინეს, ვიცე-სპიკერ ზვიად ძიძიგურისგან ღია ეთერში ასეთი პასუხი მოჰყვა: „ძალიან ბევრი საიდუმლოება იცის გიგა ბოკერიამ საქართველოს უშიშროების შესახებ, ორი წელია ოპოზიციამა და ეს ამბები მას არ გამოუტანია. გრცხვენოდეთ, ამ თემებზე ლაპარაკით ქვეყანას აზიანებთ და აუბედურებთ. ჩვენ ომის მდგომარეობაში ვართ, დაკარგული ტერიტორიების მქონე ქვეყანა ვართ და არ შეიძლება, ასე, პირდაპირ რუსეთს მოუყვე, რა კეთებოდა, რა ვერ გაკეთდა და რა გაკეთდება“.

საინტერესოა, სად იყო „ოცნების“ უმრავლესობა მაშინ, როცა ოპოზიციამ გადასული ექსპრეზიდენტის, ირაკლი ალასანიას გარშემო პოლიტიკური დებატები ყოფილი თანაგუნდელის მძიმე ბრალდებებში გადაიზარდა. ალასანიას განცხადებებს საქართველოს საპარლამენტო თავდაცვის საფრანგეთისგან გაძლიერების შესახებ, ერთდერითი კონკრეტული რეზოლუციით, რომ ამ ფუნდამენტურ შესაძლებლობაზე უარი ივანიშვილის ბრძანებით ათქმევინეს, ვიცე-სპიკერ ზვიად ძიძიგურისგან ღია ეთერში ასეთი პასუხი მოჰყვა: „ძალიან ბევრი საიდუმლოება იცის გიგა ბოკერიამ საქართველოს უშიშროების შესახებ, ორი წელია ოპოზიციამა და ეს ამბები მას არ გამოუტანია. გრცხვენოდეთ, ამ თემებზე ლაპარაკით ქვეყანას აზიანებთ და აუბედურებთ. ჩვენ ომის მდგომარეობაში ვართ, დაკარგული ტერიტორიების მქონე ქვეყანა ვართ და არ შეიძლება, ასე, პირდაპირ რუსეთს მოუყვე, რა კეთებოდა, რა ვერ გაკეთდა და რა გაკეთდება“.

# სად გადის ზღვარი პოლიტიკურ ბრძოლასა და სახელმწიფო საიდუმლოს გახვამს შორის



დადგება თუ არა ალასანიას პასუხისმგებლობის საკითხი და რაფომ მიაჩნია ძიძიგურის ბრძანება არასერიოზულად „სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ“ კანონის ავტორს

სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურებაზე მის მიერ, ვინც ეს საიდუმლოება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო იცოდა ან ვისაც იგი გაანდეს. ამ მუხლის დარღვევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-დან 5 წლამდე, ან 3 წლით საქმიანობის უფლების ჩამორთმევით. 321-ე მუხლი კი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევას გულისხმობს: სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტისადმი ან საგნისადმი მოპოვების წესის გაუფრთხილებლობით. ან განზრახ დარღვევა, რამაც ასეთი დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება, დაკარგვა გამოიწვია. დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე. ვის მხარესაა სიმართლე და იყო თუ არა ალასანიას განცხადებებში რაიმე კონკრეტული ამ ან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის, რაც ჩვენ, ჩვეულებრივ მოქალაქეებს, შესაძლოა, ყურში არ მოგვხვდა — ამის შესახებ სამხედრო პოლიტოლოგსა და ექსპოლიტიკატორს, ვახტანგ მაისიას ვკითხეთ, რომელიც 2009 წელს რუსეთისთვის ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს და ბოლოს ბრალი ნატო-ს სასარგებლოდ ჯაშუშობაში „დაუმტკიცეს“: „არასწორად გვესმის, რა არის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოება, რადგან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა დაუზღვევია. დღეს ქვეყანაში საიდუმლოების სინდრომი, რასაც მთელი საზოგადოება განიცდის. ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებულ ვერც ერთ განცხადებაში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ვერ დავინახე თუნდაც იმიტომ, რომ ალასანია დეტალები არ უთქვამს: რა სახის შეიარაღება იყო საუბარი, ანტისარაკეტო, კონკრეტულად, პასიური თუ აქტიური რეჟიმის სისტემებზე, მან არც მწარმოებელი კომპანიები დაასახლა. ამ თემებზე საჯარო დებატები და დისკუსიები მიდიოდა“. კითხვას, სად გადის ზღვარი პოლიტიკურ ბრძოლასა და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას შორის, მაისია ასე პასუხობს: „თავად საზოგადოება არაა ჩამოყალიბებული, სად გადის ეს ზღვარი, რა არის ორგანიზაციები ინტერესები. ქვეყანაში სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემები არ არსებობს. უსაფრთხოების კონცეფცია, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამოქმედო კონცეფცია საერთოდ არ გააჩნია და ახლა თქვენ გინდათ, ეს ზღვარი გავალოთ? რუსეთთან სამომარტო მდგომარეობაში ვართ. არც ისაა საიდუმლო, რამეთუ ოპერატიულ-სტრატეგიული სარდლობა სამხრეთის მიმართულებით რომ დაიწყო, განაღდა ახალი ტიპის შეიარაღება, მთ შორის, საშტურმო და საფრონტო ავიაციის, მეოთხე თაობის ბომბდამშენები, ავიამანდგურებლები... ვერ ვიტყვი, რომ ალასანიამ რამე ახალი ან ექსტრადინამიკური თქვა; მით უმეტეს, არახალა, რომ მემორანდუმს მოეწერა ხელი და ქართულ-ფრანგული მხარეები თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ. ფრანგებმა ჩვენს საპარლამენტო შეიარაღებაში 2008 წელსაც დიდი წვლილი შეიტანეს — პირველი დარტყმა, რუსეთის ავიაციის სწორედ ფრანგების დანერგვით სისტემას მიყენა. ფრანგებმა შეუწყვეს ხელი

სახეზეში სამომომზადების ცენტრის შექმნასაც. ზოგადად, ასეთი შეთანხმებები ვენაში ჩვეულებრივი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ პირობებით რეგულირდება და ეს ღია აქტია. მართალია, მოსამართლე ესეუბამ დამინერა, თითქოს, ვენის ეს ხელშეკრულება საიდუმლოა და ამით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ ორგანული კანონი დაირღვა, რის გამოც 20 წელი მომცეს, თუმცა ასე არაა. ჩათვალა, ამას ექსკლუზივად თქვენი გეუბნებით — თურმე, აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში არსებული გრადების სისტემა საქართველოსთვის საიდუმლო ყოფილა და ვენის ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება. ასე რომ, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რა მოუწესრიგებელი კანონმდებლობა გვაქვს“.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის ავტორი, იურისტი, ცენტრ „მომავლის ინიციატივების“ ხელმძღვანელი ლევან ალაფიშვილი კი დეტალურად განმარტავს, ვის აქვს სამსახურებრივი დამოუკიდებლობა, რა ევალება სამოქალაქო პირს, მინისტრს და რა შეიძლება ჩაითვალოს კანონდარღვევად: „კანონის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოება არის ის მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და კომპეტენტური პირის მიერაა ასეთად მიჩნეული, ან გრიფი აქვს მინიჭებული. თუ ეს ორი პირობა არსებობს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოება და მისი დაცვის დარღვევაზე მსჯელობა. სხვა საკითხია, სამსახურებრივი საიდუმლოება არის, რაც სანქციებით ისჯება, თუმცა ვერც ამის ნიშნებს ვაყვებ. თუკი არსებობდა რამე მემორანდუმი ან მიმონერა, რომელსაც გრიფი ჰქონდა მინიჭებული და ეს გასაჯაროდა, პირის, ამ შემთხვევაში, ალასანიას პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. თუმცა არც მხოლოდ გრიფის მინიჭებაა საკმარისი, რომ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხზე ვისაუბროთ. ამ ვითარებაში, სიცხადე საფრანგეთის ელჩმა შეიტანა, რომელმაც თქვა, რომ მოლაპარაკების პროცესი მიდიოდა და კვლავაც მიდის საქართველოს ხელისუფლებასთან. ეს რომ სახელმწიფო საიდუმლოება ყოფილიყო, ფრანგულ მხარეს განსხვავებული რეაქცია ექნებოდა და არც საჯარო განცხადებებს გააკეთებდა. რაც შეეხება ცენზს თავდაცვის მინისტრისთვის: 2004-2005 წლებიდან სამოქალაქო და სამხედრო მმართველობით თავდაცვის ძალებში დაყოფილია თავდაცვის სამინისტრო არის სამხედრო საიდუმლოების ე.წ. პოლიტიკური ამოცანების განმსაზღვრელი, ფინანსურ-მეტრიკული უზრუნველყოფილი სტრუქტურა, ხოლო უსაფრთხოების კონცეფციის განსაზღვრა, სტრატეგიული-ტაქტიკური ამოცანებისა და სხვა სამხედრო საკითხების წარმმართველი კი სრულად არის გენერალური შტაბი, ანუ სამხედრო სტრუქტურა. თავდაცვის სამინისტროში სამოქალაქო და სამხედრო ფუნქციები, აკანონმდებლო დონეზე, გამიჯნულია — მინისტრი სამოქალაქო პირია, გენშტაბის უფროსი — სამხედრო. შესაბამისად, ეს ნამსახურობის ცენზი, დუმილის ვალდებულება და ა.შ. სამხედრო მმართველობაში ანუ გენშტაბში დასაქმებულითათვისაა განსაზღვრული და თავდაცვის სტრუქტურაზე არ ვრცელდება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მინისტრი პოლიტიკური თანამდებობის პირია და საჯარო სამსახურის კანონმდებლობა მინისტრისთვის რაიმე განსაკუთრებულ ცენზსა და შეზღუდვას არ განსაზღვრავს. თავად კანონი საკმარის და მასში ძალიან კონკრეტულად განსაზღვრულია, რა შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლოებას და რა — არა. ეს კანონი არის უბრალოდ ჩარჩო და იგი არ ამბობს, რომ რაღაც აუცილებლად საიდუმლოა. ყველა პირი, ვისაც ოდესმე უმუშავია საჯარო სამსახურში და დაშვება ჰქონდა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მანამდე წერილობით იღებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას, რასაც შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ. ამ კანონის ავტორი მე გახლავართ და პრობლემა კანონში კი არა, მის საფუძველზე გამოცემულ, ადრე პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებულ და მერე მთავრობის მიერ „გადამტკიცებულ“ დოკუმენტშია, „სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესახებ. ხოლო თავად კანონი ორ უმთავრეს გარანტიას იძლევა: რომ ვინმემ გრიფი „საიდუმლოს“ მინიჭებით ინფორმაციის საჯაროება არ დაარღვიოს ან თავისი უკანონოა არ დამალოს და არსებობს გასაჩივრების მექანიზმები. მეორე — ამავე კანონით მოცემულია მედიის დაცვის გარანტია, რომლის მიხედვით, თუ საიდუმლო ინფორმაცია მედიაში მოხვდა, პასუხისმგებელია პირი, რომელსაც ამ ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ჰქონდა ადამიანი მეორეზე ამბობს, კანონი დაარღვიო და ამ თემაზე მსჯელობს, მასთან პოლემიკაში შედის და შინაარსობრივ რაღაცებზე დავობს, ე.ი. ამ კანონს თავდაცვ არღვევს. ძიძიგურის პოზიცია ამ შემთხვევაში, სერიოზულად განსახილველი არაა, რადგან თავდაცვის ყოფილ მინისტრს, რომელსაც უშიშროებაში მუშაობის გამოცდილება აქვს და განათლებითაც იურისტია, ყველაფერი შეიძლება დაუნუნო, გარდა იმისა, იცის თუ არა, რა არის სახელმწიფო საიდუმლოება“.

## პირსიანიუსი

### შინაგან საქმეთა მინისტრმა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და მთავრობის წევრებთან ერთად, 9 აპრილის მემორიალთან მივიდა. მინისტრმა მემორიალი ყვავილებით შეამკო და 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დარბევის დროს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.



„ვერსიანიუსი“

### ბრაზილიის ჩისპუბლიკასთან უიზო რეჟიმის შესახებ შეთანხმება კალაში შედის

10 აპრილიდან საქართველოსა და ბრაზილიის რესპუბლიკას შორის ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის ვიზის მიღების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმება ძალაში შედის. შეთანხმება ნოტების გაცვლის გზით დაიდო და მას მთავრობის სახელით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა 2015 წლის 11 მარტს მოაწერა ხელი. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ტურისტული და საქმიანი მიზნით მგზავრობის მსურველი ორდინალური პასპორტის მფლობელი მოქალაქეები თავისუფლდებიან ვიზის აღების ვალდებულებისაგან. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ბრაზილიის ტერიტორიაზე შესვლას, ყოფნასა და ტრანზიტს 90 დღის განმავლობაში 180-დღიან პერიოდში, რომლის ათვლაც ქვეყანაში პირველად შესვლის დღიდან მოხდება. ანალოგიური რეჟიმი იმოქმედებს ბრაზილიის მოქალაქეების მიმართ. საქართველოსა და ბრაზილიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1993 წლის 28 აპრილს დაიწყო. 2010 წელს საქართველომ საელჩო გახსნა ბრაზილიაში, რასაც ბრაზილიის მხარემ ანალოგიური ნაბიჯით უპასუხა 2011 წელს. ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა არაერთი მალაი დონის ვიზიტი და შეხვედრა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო დონეებზე. ხსენებული შეთანხმების გაფორმება წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი ნიშანდარი ნაბიჯია და მნიშვნელოვანი დატვირთვით მატარებელია როგორც სახელმწიფოთაშორისი პარტნიორობის, ისე ხალხთაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით. შეთანხმების გაფორმება გააღრმავებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას, ხელს შეუწყობს ბიზნესრეგების დაახლოებას, ტურისტული ნაკადების გაზრდას.

„პირველი“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვიციანიძის ინიციატივით, სახელმწიფო კომპენსირებას ჰპირდება იმ კომპანიებს, რომლებმაც სხვადასხვა სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვეს და ეროვნული ვალუტის — ლარის დევალვაციის გამო, პრობლემები შეექმნათ. მინისტრის განმარტებით, კომპენსაცია არ შეეხება იმ შესყიდვებს, რომლებიც დღემდე განხორციელდა და სადაც სამუშაოები უკვე ჩაბარებულია. ინიციატივა მხოლოდ იმ სამუშაოებს ეხება, რომლებიც ამ პერიოდის დასრულებამდე დასრულდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრემიერ **გიორგი კვიციანიძის** განმარტებით, ბოლო დროს, სავალუტო კრიზისის გამო, ბევრი კომპანია დაზარალდა, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობდნენ და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან პროექტებს ასრულებდნენ: „მხედველობაში მაქვს, როგორც ცენტრალური მთავრობის, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ინფრასტრუქტურული და ის პროექტები, რომლებსაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით ვახორციელებთ. მათ შეეხებათ საფრთხე, რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული, წინა გამოცხადებული ფასებით, პროექტების დასრულებას ვერ შეძლებენ. შევიტყვეთ, რომ კომპანიები არ იწყებენ სამუშაოებს, ურჩევნიან, საგარანტიო თანხები დაკარგონ, ვიდრე სამუშაოები დაიწყონ და მეტად იზარალონ. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შესაბამის კანონქვემდებარე აქტში, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს ეხება, გაითვალისწინოს არსებული გარემოებები. უპირველეს ყოვლისა, გამოიყენოს ის 10%-იანი ლიმიტი, რომელიც კანონქვემდებარე აქტითაა გათვალისწინებული და აქამდე იშვიათად გამოიყენებოდა“.

ვიცე-პრემიერის თქმით, იქმნება უწყებათაშორისი ფორმატი ფინანსთა სამინისტროს, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მონაწილეობით, სადაც ყველა ასეთ შემთხვევაში განიხილავენ. იმ კომპანიებს კი, რომლებიც ამგვარ სამუშაოებს ასრულებენ, დევალვაციის ეფექტს კომპენსაციით აუნაზღაურებენ. **გიორგი კვიციანიძე** უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ის კომპონენტები, რომლებიც დევალვაციითა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული შესყიდვის ნაწილითაა გამოწვეული. ეს არ ეხება იმ შესყიდვებს, რომლებიც დღემდე განხორციელდა და სადაც სამუშაოები უკვე ჩაბარდა. ახალი ინიციატივა ეხება მხოლოდ იმ სამუშაოებს, რომლებიც ამ პერიოდის დასრულებამდე დასრულდება“.

მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო ყველა გარემოებასა და კონკრეტულ შემთხვევას გაითვალისწინებს. კერძოდ, შეძენილი აქვს თუ არა კომპანიას მარაგები, მომავალში აპირებს თუ არა შექმნას ა.შ. კვიციანიძის თქმით, არ უნდა შეფერხდეს არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს. ვიცე-პრემიერი ყურადღებას ამახვილებს იმ პროექტებზეც, რომლებიც საერთაშორისო რეგულაციების ქვეშ სრულდება. მისი თქმით, დონორი ორგანიზაციების დაფინანსებულ, საერთაშორისო ტენდერებით შესრულებულ პროექტებში, საერთაშორისო რეგულაციებითაა გათვალისწინებული კომპენსირების მექანიზმები.

რა ოდენობის თანხას გასცემს სახელმწიფო კომპენსირებისთვის? კვიციანიძის განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზუსტი თანხის დასახელება შეუძლებელია. წინასწარი შეფასებით, ეს არ უნდა იყოს მთლიანი შესყიდვების 10%-ზე მეტი. თითოეული ასეთი შემთხვევა, ინდივიდუალურად უნდა განიხილოს და კომპანიებს მხოლოდ დევალვაციის ეფექტი აუნაზღაუროს: „ეს ნაბიჯი რომ არ გადავიდეთ, ცუდი შედეგი გვექმნება, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა თუ ეკონომიკური ზრდის კუთხით. მთავრობა მზადაა, სხვა მიმართულებებით მოიკლოს ფული, რათა კომპანიები არ გაჩერდნენ“.

ექსპერტთა ნაწილი მთავრობის ინიციატივას დადებითად აფასებს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ასეთი კომპენსირება სავალუტო კრიზისისგან შექმნილ პრობლემას ვერ გადაჭრის. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, **ლევან კალანდიაძე** „ვერსისასთან“ აცხადებს, რომ ინდივიდუალური მიდგომა, მთავრობის მიერ სახელმწიფო ტენდერის პირობების გადახედვა და ლარის დევალვაციის დონის გათვალისწინება, პრაგმატული გადაწყვეტილება იქნება. მისი თქმით, როდესაც ბიუჯეტში „ქაშვების შემოჭრის“ პოლიტიკის განხორციელების ფონზე, აუცილებელია, სახელმწიფომ ეს ინიციატივა მხოლოდ იმ კომპანიებზე გაავრცელოს, რომლებიც ლარის დევალვაციის გამო დაზარალდნენ: „სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე კომპანიებისთვის ლარის დევალვაციის გამო, მნიშვნელოვნად შეიცვალა პირობები და ბუნებრივია, სახელმწიფომ პასუხისმგებლობის გარკვეული ნილი საკუთარ თავზე აიღოს. სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე კომპანიები, ძირითადად, იმპორტირებულ პროდუქტს იყენებდნენ, რაც მნიშვნელოვნად გაძვირდა, ამიტომ, შეთანხმებული ფასები უნდა გადაიხედოს. თუ ფასებს არ გადავხედავთ, რამდენიმე საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. პირველი: ბიზნესის უმძიმეს მდგომარეობაში ჩავაგდებთ და ბიზნესისგან დამოუკიდებელი მიწვევებით განვითარებული გარემოებების გამო, შესაძლოა, ზოგი კომპანია გაკოტრდეს; მეორე: შესაძლოა, დაზარალდეს სახელმწიფო და საზოგადოება, რადგან ერთი მხრივ, ეს კომპანიები ვალდებულებებს ვერ

# ეკონომიკის მინისტრი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიებს კომპენსაციას ჰპირდება



## რა კრიტერიუმებით შეარჩევენ კომპანიებს და რა ოდენობის თანხას მისცემს მათ სახელმწიფო

შეასრულებენ, რაც სერიოზული რისკია თავად სახელმწიფოსთვის, მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს ვალდებულებები უზარისხოდ შეასრულონ, ანუ ფასთა შორის სხვაობა დაბალი ხარისხით დაკომპენსირდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საკითხი გადასახედია, მაგრამ ამ ინიციატივის ყველა კომპანიაზე გავრცელება არ შეიძლება. რაციონალური იქნება, თუ სახელმწიფო, ეკონომიკის სამინისტროსთან და სხვა, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, მობილურ კომისიას შექმნის, რომელიც თითოეულ ქეისს ინდივიდუალურად განიხილავს. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, 3%-იანი კომპენსირება დაგვჭირდეს, ზოგ შემთხვევაში — 9%-იანი. ეკონომიურ რეჟიმში, რაციონალური გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ — კომპენსაცია მხოლოდ იმ კომპანიებზე განხორციელდეს, რომლებიც ლარის დევალვაციის გამო დაზარალდნენ და თანაც, იმ პროდუქციის ფარგლებში, რაც ამ პერიოდში გაძვირდა“.

რატომ დადგა დღის წესრიგში ახალი ინიციატივა მაშინ, როდესაც ლარმა დასტაბილურება დაიწყო ან დაირღვევა თუ არა კონკურენცია ბაზარზე, როდესაც სახელმწიფო მხოლოდ ცალკეულ კომპანიებს აუნაზღაურებს დევალვაციის გამო მიყენებულ ზარალს? „ვერსისას“ კითხვებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, **ნათია მიქაძე** პასუხობს:

— არაერთი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა მაშინ, როცა ეროვნული ვალუტის კურსი სტაბილური იყო. შესაბამისად, მიმწოდებლებმა ვალდებულება აიღეს ვალუტის შესაბამის კურსზე დაყრდნობით და არ ჰქონდათ საფუძველი, ევარაუდათ ან თავიანთ მოსალოდნელ ხარჯებში გათვალისწინებინათ კურსის მკვეთრი ცვლადობა უახლოესი თვეებში. ვინაიდან რიგი მიმწოდებლები დამოკიდებული არიან საქონლის იმპორტზე, კურსის ცვლადობამ და რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა მათი ხარჯები გაზარდა, რის გამოც ფინანსური ზიანი მიადგათ. შესაბამისად, მკვეთრად შეფერხდა მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და ზოგადად, სახელმწიფო შესყიდვების პროცესი. ამ მოვლენებისა და მათი შედეგების ანალიზის შედეგად, ასევე იმის გათვალისწინებითაც, რომ მოცემულ ეტაპზე, ვალუტის კურსი შესაბამის ნიშნულს ინარჩუნებს, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ხელი შეეწყოს სწორედ იმ მიმწოდებელთა საქმიანობისთვის, რომლებიც შესაძლოა, ვალუტის კურსის ცვლადობის პერიოდში დაზარალდნენ.

— **კონკრეტულად, რა კრიტერიუმით შეირჩევიან კომპანიები?**

— ყველა იმ კომპანიის კომპენსირება განხორციელდება, რომლებსაც ხელშეკრულებები 2015 წლის 1 მარტამდე გაფორმდა და რომლებიც შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენენ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ სათანადო დასკვნას. ამით

დადასტურდება, რომ შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული ვალუტის კურსის ცვლადობით ან/და ბოლო პერიოდში, რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ამასთან, აუცილებელია, ეს საკითხი წინასწარ შეთანხმდეს ფინანსთა სამინისტროსთან. სხვა კრიტერიუმი კომპენსირების კუთხით, გათვალისწინებული არ არის. ეს არ გავრცელდება კომპანიებზე, რომელთა მიმართაც განხორციელდა სრული ოდენობით წინასწარი ანგარიშსწორება, ან რომლებთანაც უკვე გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

— **კომპენსაციას რატომ მიიღებენ მხოლოდ სამშენებლო კომპანიები?**

— კომპენსაციას დაექვემდებარებიან როგორც სამშენებლო კომპანიები, ასევე სხვა მიმწოდებლებიც, თუკი აღნიშნულ პირობებს დააკმაყოფილებენ. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სამშენებლო კომპანიები ვალდებული იქნებიან, უზრუნველყონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და შესაბამისი დასკვნების მოპოვების პერიოდში, სამუშაოების შეჩერება არ დაუშვან!

— **ეს ინიციატივა ბაზარზე კონკურენტულ გარემოს არ შეუშლის ხელს?**

— გასათვალისწინებელია, რომ ინიციატივა შეეხება მხოლოდ 2015 წლის 1 მარტამდე გაფორმებულ კონტრაქტებს, თუ არსებობს ექსპერტიზის დონეზე დადასტურებული ხარჯების ზრდა და, თუ ეს საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმდება. შესაბამისად, ეს ინიციატივა გავლენას ვერ მოახდენს კონკურენტულ გარემოზე, პირიქით, ხელს შეუწყობს შესყიდვების პროცესისა და კომპანიების გააქტიურების მიმართულებით.

— **კომპენსაციას მიიღებენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიც, რომლებიც ტენდერებში მონაწილეობდნენ, რატომ?**

— საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები არ მონაწილეობენ ტენდერებში, ისინი აფინანსებენ გარკვეული ტიპის ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მათი დაფინანსებითა და მათივე შესყიდვების პროცედურებით განხორციელებულ შესყიდვებზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ ვრცელდება შესყიდვების კანონმდებლობა. ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა მიმართავს რეკომენდაციით იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურებით ხელმძღვანელობენ, რათა ამავე შესყიდვების პროცედურებისა და გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სწორედ მათ უზრუნველყონ შესაბამისი მექანიზმების ამოქმედება, მიმწოდებელი პირების საქმიანობის ხელშესაწყობად.

### პერსონალი

## საქართველოს გავლით თურქმენული გაზის ტრანზიტის პროექტით მოლოვნა დაინფორმდა



მოლოდინისა და თურქმენეთის პრეზიდენტებმა ნიკოლაე ტიმოფტიმ და გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა ამხაბადში გამართულ შეხვედრაზე ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა მათ შორის ბუნებრივი აირის, ტრანსანატოლიური გაზსადენით ევროპაში ტრანსპორტირების პროექტში თურქმენეთის ჩართულობაზეც ისაუბრეს. CA-news-ის ინფორმაციით, განსაკუთრებული ყურადღება ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს დაეთმო.

გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა, რომელიც წელს საქართველოსაც ეწვევა, აღნიშნა, რომ თურქმენეთი ნახშირწყალბადის რესურსების შექმნაზე ენერჯეტიკულად მუდმივად გაიზრდება. პროექტის თანახმად, გაზსადენით მიღებული გაზიდან დაახლოებით 6 მილიარდი კუბური მეტრი თურქეთში დარჩება, დარჩენილი რაოდენობის განაწილება კი ევროპის ქვეყნებში მოხდება. გაზის ტრანსპორტირების რეალიზება 2018 წლისთვისაა დაგეგმილი.

„პირველი“

წინა ხელისუფლებამ ერთი რამ ნამდვილად გააკეთა — სასჯელაღსრულების დაწესებულებები ისე განაახლა, იქიდან გაქცევა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ორმაგი დამცავი ღობე, ერთმანეთთან ახლოს განლაგებული „ვიშკიორები“ და რაც მთავარია, სავალდებულო კამერები, რომლებსაც, ადმინისტრაციის გარდა, თბილისიდან დეპარტამენტიც აკონტროლებს. ამასთანავე, ნახევრადლია ტიპის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, ღობეებთან ჩაყოლებულია სადენები, რომლებიც, გვირახის გათხრის შემთხვევაში, ადმინისტრაციასა და დეპარტამენტში სიგნალს მიანვდის. რა თქმა უნდა, არ არსებობს ციხე, საიდანაც გაქცევა არ შეიძლება, მაგრამ, როცა ამის შანსი მინიმუმამდეა დაყვანილი, აშკარად მისასალმებელია.

შევარდნაძისდროინდელი ციხიდან კი, გაქცევა ზედმეტად მარტივი იყო, თუმცა თითქმის არავინ გარბოდა. არ გარბოდა იმიტომ, რომ, თუ ფული გქონდა, გარეთ ისედაც გახვიდოდი. თუ არ გქონდა, გარეთ არაფერი გესაქმებოდა. გამოწვევები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ციხიდან ხანდახან ისეთი აბსურდული მიზეზით გარბოდნენ, მრავლისმნახველ პატიმრებსაც უკვირდათ.

რუსთავის №17 დაწესებულებას ადრე დაბალი ღობე ერტყა. პატიმრებს სახურავზე ასვლიც შეეძლოთ და იქ გამგელები ავტომანქანების თვალყურით დროს კლავდნენ. არცთუ იშვიათად, ვილაცხვებო, მისალმების ნიშნად, ხელს უქნევდნენ და ამ „ვილაცხვებში“ სუსტი სქესის წარმომადგენელი თუ გაერეოდა, პატიმრები სიხარულით ხტოდნენ. ზოგადად ასეა, როცა გისოსებსმიღმა ხარ და გაღიმებულ ქალს დაინახავ, გგონია, შენ გიღიმის და შენს გარდა ვერავის ამჩნევს...

შევარდნაძის პერიოდში ზონაში „კანონიერი ქურდებიც“ იყვნენ და იმ დროს რუსთავის მეორე ზონად მონათლულ დაწესებულებაში ყველაზე გავლენიანი გივი ბობოხიძე იხდიდა სასჯელს. გივის ზონა კი არა, ადმინისტრაციაც ხელში ეჭირა, პატიმრებიცა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოფიცრებიც კი, თავდახრით ესალმებოდნენ. როცა ახალი „ვიშკიორი“ მოვიდოდა, ერთი სული ჰქონდა, ლეგენდარული „კანონიერი ქურდისთვის“ თვალის მოეკრა. ზონაზე ყველას თავისი ადგილი ჰქონდა, „კაზიოლები“ და ქათმები თავის საქმეს აკეთებდნენ, კაბიჭები „ობშიაკზე“ ზრუნავდნენ, „პეხობა“ კი ცდილობდა, უსიამოვნებაში არ გარეულიყო. ერთ დღეს გივიმ ე.წ. კრუგის თამაშები გამოაცხადა. ეს ნიშნავდა, რომ მთელ ზონას უნდა ეთამაშა, გამარჯვებული ბოლოს სოლიდურ თანხას მიიღებდა, მაგრამ იქიდან წილი „ობშიაკში“ მიდიოდა. მოკლედ, ქურდული საღააროს შესვლების დრო იყო.

# გაქცევა ტაბურეტით

## როგორ გაუკვდა გზა თავისუფლებისკენ „შნირმა“ სციოპამ „კანონიერ ქურდს“



„მე ვერ ვითამაშებ, ბატონო გივი, ფული არ მაქვს“, — მიადგა ვარკეთილელი სციოპა ბობოხიძეს.

„ვინ ხარ შენ?!“ — ჰკითხა გივიმ, თუმცა კარგად იცოდა, რომ სციოპა კაბიჭების კამერას ასუფთავებდა, წყალს უზიდავდა, რეცხავდა, ხეხავდა, მოკლედ, „შნირი“ იყო.

„მე კაბიჭებს ვეხმარები“, — დაიმორცხვა სციოპამ.

„კაბიჭებს რამდენი ხანია ეხმარები?!“ — ჩაეკითხა გივი.

„რა ვიცი, კი არის ერთი წელი“, — გამოცოცხლდა სციოპა.

„მომისმინე ახლა ყურადღებით, მეორედ აღარ გაგიმეორებ — ვინც თამაშობს, ასი დოლარი უნდა ჩადოს. შენ ხომ კაბიჭებს ეხმარები, აგერ უკვე ერთი წელია თურმე. ჰოდა, ახლა ისინი დაგეხმარონ. გასაგებია?!“ — წარბი ასწია ბობოხიძემ.

სციოპამ თავი დაუქნია და კამერიდან გაიჭრნა.

„რას გაგვიგვიფიცე, კაცი. ერთი წელია ხმა არ გაუღია, ახლა კი ამბობს, ბობოხიძემ მითხრა, კაბიჭები უნდა დაგეხმარონ და სათამაშოდ ასი დოლარი ჩამიდეთო“, — ღიმილით უთხრა ბლატატამ გივის.

„მასე ვუთხარი. ერთი წელია ამ კაცის ექსპლუატაციას რომ ვწევი, აბა, რა გინდათ, ერთხელ არ ჩადოს „ობშიაკში“ შესატანა?! დაეხმარეთ-მეთქი“, — მშვიდად უთხრა გივიმ.

სციოპამ ასი დოლარი ჩადო, ითამაშა, რა თქმა უნდა, წააგო, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, ხალხში რომ გაერია. ამ ამბიდან ერთი თვე იყო გასული, სციოპა ქურდების კამერაში მივიდა, თავი დახარა და ბობოხიძეს მორიდებით უთხრა: „თუ შეიძლება, ორი ტაბურეტი რომ გაქვთ, მათხვეთ. საღამოს დაგიბრუნებთ, მჭირდება“.

„რად გინდა ტაბურეტი?!“ — დაინტერესდა გივი. „საღამოს დაგიბრუნებთ, ბატონო გივი, რაღაც მინდა გააკეთო“, — ჩუმად თქვა სციოპამ და ბობოხიძემაც თვალის ანიშნა, ნაილეო.

საღამოს, ზონის დაკეტვამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა, როცა ეზოში სციოპა გამოვიდა, ტაბურეტები სიმაღლეზე ჰქონდა დაბმული და მშვიდად მიდიოდა „ზაპრეტკისკენ“. გივიმ თვალი გააყოლა და ისიც „ზაპრეტკისკენ“ დაიძრა. სციოპამ კედლის ძირში დადო ტაბურეტი, ერთი გამოხედა ბობოხიძეს, შემდეგ კატასავით შეხტა სკამებზე, კედელს გადაეკლო და ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, მხოლოდ რამდენიმე პატიმარმა მოჰკრა თვალი. „ვიშკიორმა“ გაქცეული პატიმარი დაინახა, ინსტრუქციის მიხედვით ჯერ ჰაერში გაისროლა, მერე კი სციოპა მიზანში ამოიღო.

„არ ესროლო“, — იღრიალა ბობოხიძემ და „ვიშკიორს“ იარაღი ხელში შეაცვივდა. მეორე ტყვიაც ჰაერში ისროლა და რაცია მოიმარჯვა. ბობოხიძე საკანში დაბრუნდა და ის ბიჭები დაიბოძა, რომელთა კამერასაც სციოპა ალაგებდა.

„იმ ვილაც სციოპას ორი წელი ჰქონდა მისჯილი, შვიდი თვე ჰქონდა დარჩენილი სროკის ბოლომდე და ასეთ დროს ციხიდან გიჟები გარბიან. გიჟის მაგას არაფერი ეტყობოდა და რა უთხარით ასეთი, გაქცევა რომ გადანყვიტა?!“ — ბობოხიძე ბოლო ხმაზე ღრიალებდა.

„არაფერი, საერთოდ არაფერი. დღეს დილით თქვენი კამერიდან ტაბურეტები მოიტანა, მთელი დღე ერთმანეთზე აბამდა და ასე ამბობდა, კამერის ჭერიდან აბლაბუღები უნდა ჩამოვწმინდო. რას ვიფიქრებდით, რომ გაქცევას აპირებდა?!“ — ამოილულულეს კაბიჭებმა.

„კაცი ზონიდან გარბის და ქურდი აზრზე არაა. ხვდებით, ეს რას ნიშნავს?! და თქვენ გაქვთ კაბიჭობაზე პრეტენზია? მოვიფიქრებ, როგორ დაგსაჯოთ“, — გივი აშკარად არ ხუმრობდა.

გაქცევიდან მესამე დღეს სციოპა საკუთარ სახლში დააკავეს, გაქცევისთვის ორი წელი დაუმატეს და ისევ რუსთავში დააბრუნეს. პატიმარი მაშინვე ბობოხიძესთან გამოცხადდა. „ბოდიში, ბატონო გივი, ვერ გითხარით, გაქცევას რომ ვაპირებდი. თან თქვენი სკამები გამოვიყენე. როგორც გენებოთ, ისე მომეცეთ, მაინც ყველაფერმა აზრი დაკარგა“, — სციოპა ლამის ტიროდა.

„მე ის უფრო მაინტერესებს, რატომ გაიქეცი მაშინ, როცა ციხის „ნაჩალნიკისთვის“ სამასი დოლარი რომ გაგემზა, უდოს გინაღიზებდა და ოფიციალურად გახვიდოდი. თუ 300 დოლარის ჩალიჩის შანსი არ გქონდა, გარეთ რა გინდოდა?! და კიდევ, შემთხვევით იქ რომ არ ვყოფილიყავი, „ვიშკიორი“ დუ-იქცევათ გაგაგორებდა და ახლა მარტო ძვლები იქნებოდა შენი დარჩენილი. რატომ გაიქეცი, შეგიძლია მითხრა?!“ — ჰკითხა გივიმ.

„პირველი კლასიდან... არა, ბალიდან მიყვარდა ერთი გოგო. იმასაც ვუყვარდი და რომ გავიდიოდი, ცოლად უნდა მომეყვანა. ვილაც ტიპი გადაეკიდა და ცოლად მოიყვანა. მე ახლა გავიგე, მიმალავდნენ და მაგიტომ გავიქეცი. სხვანაირად არ შემიძლო“, — ამოილულულეს სციოპამ.

„ვას, მომკლა რა ამ პატიმრების სენტიმენტალურმა მიდგომამ. კარგი, გაიქეცი და რა უნდა გექნა?! კაცს ცოლს წაართმევდი? რად გინდა ისეთი ქალი, რომელმაც გილალატა? ამაზე არ გიფიქრია?!“ — გაუკვირდა ბობოხიძეს.

„არა, თვალეში მინდოდა ჩამხეხედა და მეკითხა, რატომ გააკეთა ეს“, — სციოპა ლამის ტიროდა.

„მერე, ჩახედე?!“

„ვერა, დამიჭირეს“.

„კარგი. ახლა ნადი და ხვალ მოდი, ის ტაბურეტები ისევ ისე მიაბი ერთმანეთს, მჭირდება, ოღონდ კრინტი არავისთან დავცდეს, თორემ თვალეში ვერასდროს ველარავინ ჩახეხედავს, დახუჭული გექნება და იმიტომ“, — აუხსნა ბობოხიძემ.

მეორე დღეს სციოპამ ტაბურეტები ისევ მიამაგრა ერთმანეთს და საღამოს ამ ტაბურეტებით უკვე გივი დაიძრა „ზაპრეტკისკენ“. კედელთან მისულმა სკამი მყარად მიადგა, „ვიშკიორმა“ იარაღი გადატენა. ბობოხიძემ ზემოთ აიხედა და მშვიდად თქვა: „აქ გავდივარ, მაღაზიაში, დაებრუნდები, ქურდულ სიტყვას გაძღვე“...

„ვიშკიორმა“ იარაღი დაუშვა. გივი მშვიდად წავიდა მაღაზიისკენ, თუმცა მოულოდნელად მის წინ მანქანა გაჩერდა, ბობოხიძე მანქანაში ჩაჯდა და...

„რომელი კაბიჭი შენ მყავხარ, მაგის ქურდულ სიტყვას რომ ენდებ?!“ — ღრიალებდა ზონის დირექტორი და ვიშკიორს ულანუნებდა, მაგრამ ყველა იცოდა, რომ ბობოხიძე სციოპა არ იყო და მისი დაჭერა მარტივი არ იქნებოდა, მით უმეტეს, სროკის ბოლომდე „კანონიერ ქურდს“ 11 წელი ჰქონდა დარჩენილი.

### პერსონალი

#### მთავრობა მოკლული პოლიციელის ოჯახს ბინას შეუძენს



საქართველოს მთავრობა მოკლული პოლიციელის, ბექა მარგიშვილის ოჯახს საცხოვრებელ ბინას შეუძენს. შესაბამისი პროცედურები გარდაცვლილი პოლიციელის დაკრძალვის შემდეგ დაიწყო.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა ბექა მარგიშვილის ოჯახს და აღნიშნა, რომ მათ განსაკუთრებული პატივითაა სჭირდებათ.

მთავრობის ინიციატივით, გარდაცვლილი პოლიციელებისა და სამხედროების ოჯახების კომპენსაცია გათანაბრდება. ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივით, შესაბამისი კანონპროექტი უკვე მზად არის და პარლამენტს განსახილველად უახლოეს მომავალში წარედგინება: „როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა შეიტყვეს, რომ მზად არის კანონპროექტი, რომლითაც ვესურს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და კრიმინალთან ბრძოლაში დაღუპული პოლიციელებისა და სამხედროების ოჯახების კომპენსაცია გავთანაბროთ. ნუ ეცდებიან ფარისევლები, მიიწერონ ის, რაც არასოდეს გაუკეთებიათ. მათ შეეძლოთ, 9 წლის განმავლობაში გაეკეთებინათ ეს, თუმცა არ გააკეთეს და ჩვენ გაკეთებულს ნუ მიიწერენ“.

მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედროების ოჯახებისთვის ერთჯერადად 100-ათასლარიანი კომპენსაციის დაწესება ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა იყო.

პრემიერმა ასევე ისაუბრა იმ შეღავათებზე, რომლითაც პოლიციელები ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სარგებლობენ: „მნიშვნელოვნად გავზარდეთ სოციალური დახმარება. თანამშრომლები იღებენ კომპენსაციას დაქორწინების, შვილის შექმნისა და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, რისთვისაც 2013-2014 წლებში 7 700 000 ლარი გამოყვავით. პოლიციელების და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო მკურნალობის ხარჯები პრაქტიკულად გაორმაგდა; ვუფინანსებთ საზღვარგარეთ მკურნალობას, რისთვისაც ბოლო ორი წლის განმავლობაში 6 200 000 ლარი დაიხარჯა. იქამდე ამის ნახევარიც არ იყო. პატრულ-ინსპექტორებსა და მესაზღვრეებს ხელფასები გაეზარდათ, დახმარებას იღებენ მრავალშვილიანი პოლიციელები: 4 შვილის შემთხვევაში — 250-ს, 5 და მეტი შვილის შემთხვევაში შესაბამისად — 375 და 500 ლარს“.

„პირველი“

#### თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კინოლოგიური სასწავლო პროგრამის დაამთავრებელი სერაფიმია გაიხარა

სწავლება ორ ეტაპად წარიმართა: პირველი ეტაპი, სასწავლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიმდინარე წლის 17 იანვრიდან 15 მარტის ჩათვლით განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხუთმა თანამშრომელმა. აღნიშნული ვიზიტი ტრენერთა ტრენინგსაც მოიცავდა. სწავლების მეორე ეტაპი აშშ-ში გადამზადებული ინსტრუქტორების მიერ საქართველოში, სხვადასხვა სასაზღვრო-გამტარ პუნქტში ჩატარდა და მასში სამი თანამშრომელი მონაწილეობდა.

ცერემონიას შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების, აგრეთვე, აშშ-ს სახელმწიფო ანტიტერორისტული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) წარმომადგენლები დაესწრნენ. გადამზადებულ თანამშრომლებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცა.

სასწავლო პროგრამა ჩატარდა კინოლოგიური პროექტის ფარგლებში, რომელიც 2013 წლიდან აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტი მიზნად ისახავს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებს შეეძინა ოპერატიული დახმარება, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენის საკითხებზე სამომსახურეო ძალებთან ერთად მუშაობს.



„ვერსიანიუსი“

# „უნდა იბრძოლო, ჭიმიას გყუილია და მკურნალობას, თუ ფსიქოლოგიურად არ ხარ ძლიერი“

## დეივებით დაავადებული ვეკო ბუჩუკურის ბრძოდა სიცოცხლისთვის



**თამარ ლომსაძე**  
599-20-94-01

მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია ბ2 — ეს დიაგნოზი მსახიობ ვეკო ბუჩუკურს შარშან თებერვალში დაუსვეს... მას შემდეგ იგი იბრძვის, იბრძვის საკუთარი სიცოცხლისთვის და სჯერა, რომ ეს „სპექტაკლი“, სადაც პაციენტის მთავარი როლი ერგო, მალე „ჰეივ ენდით“ დასრულდება... იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეიძლება — ორი წლის სანდროს დედა სჭირდება და მას ვეკოსავით ვერავინ შეიყვარებს.

რა არის ეს — განაჩენი თუ დაავადება? რატომ გადის იგივე გზას, რომელიც სულ რაღაც ოთხი წლის წინ დედამისისთვის ტრაგიკულად დასრულდა? — ამ კითხვებზე პასუხი ვეკოს არ აქვს. მხოლოდ ის იცის, რომ სიცოცხლისთვის ბრძოლას არ შეწყვეტს...

„მორალურად და ფსიქოლოგიურად შემართებით ვარ. ეს მაძლიერებს სწორედ, ეკლესია და ჩემი ახლობლები, რომლებიც ერთი ნუთით არ მტოვებენ, ყველანაირად მიდგანან

გვერდში“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას მსახიობი და დასძენს — „...არ მეგონა, ასე თუ ვუყვარდი ხალხს, არაა საუბარი მხოლოდ მეგობრებზე, საერთოდ უცხო ადამიანები მეხმარებიან... მეგობრებზე კი, რა ვთქვა, არც ვიცი... ომში რომ მიდიხარ, ერთი კაცი ვერ გაიმარჯვებ, მაგრამ ყველა ერთად რომ დგახართ და გრძნობ, შენს უკან მეგობრების კედელია, დაცულად გრძნობ თავს... ვიცი, გადადგამენ საქართველოს და ყველაფერს გააკეთებენ ჩემი გადარჩენისთვის“.

დღეს ულმობელ დაავადებასთან წესების გარეშე იბრძვის, მაგრამ მანამდე დეპრესიისა და სრული უიმედობის პერიოდში იყო... აი მაშინ, როცა გაიგო, დრო ცოტა ჰქონდა... მაშინ, როცა ვერ გადაეწყვიტა, უნდა ჩაბმულიყო თუ არა სიცოცხლე-სიცოცხლის ბრძოლაში: „სანდრო 4 თვის იყო, როცა თავი ცუდად ვიგრძენი — სიცხე, ოფლიანობა, უძილობა, ძვლების ტკივილი... საშველი არ იყო, არანაირი ნამალი არ მშველოდა... დედის გარდაცვალების შემდეგ სულ მეშინოდა, იგივე დაავადება აღმომაჩნდებოდა. ჰემატოლოგთან მივიდი, უამრავი გამოკვლევა დამჭირდა... თავიდან ეჭვი ძვლის სარკომაზე ჰქონდათ, ანალიზები გერმანიაშიც გავგზავნეთ... საბოლოოდ, დასვეს დიაგნოზი — მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია ბ2“...

აქ კი ყველაფერი თავდაყირა დადგა, სრული უიმედობა და

ამაოების განცდა... „სამი კვირა ვიყავი დეპრესიაში, არავინ და არაფერი მინდოდა, საკუთარი შვილიც კი... ვფიქრობდი, აქ დამთავრდა, ალბათ ასე იყო საჭირო!... თავიდან ვერ გავანალიზებ ბევრი რამ... არ ვიცი, რას ვგრძნობდი, ვერც ავხსნი. ღამეები არ მეძინა, სულ ვტიროდი, ოღონდ ამას არავის ვანახებდი“... სამი კვირის მერე კი... სანდრომ ნამოტირია, პატარას დედა სჭირდებოდა და ვეკოც ადგა, სარკეში ჩაიხედა და „საკუთარ თავს ვუთხარი — აი, ახლა, უნდა ადგე იმიტომ, რომ შენ შვილს სჭირდები... იმიტომ, რომ მას შენზე უკეთ ვერავინ მოუვლის! შვილის სიყვარულმა ნამომაცენა“...

შემდეგ იყო პრედნიზოლონის კურსი, ქიმიოთერაპიის 4 კურსი, 4 უმძიმესი პერიოდი, რომელიც ვეკომ ფეხზე გადაიტანა: „არა, არ შემეძლო წოლა... მე არ მქონდა დანაშაულის უფლება... იცით, ხან ვფიქრობ, რა სიმძიმის ჯვარი მაქვს, რომელიც უნდა ვზილო... არადა, სტიმულს ახლა აქეთ აძლევს ყველას, იცის, ბრძოლის გარეშე ავადმყოფობას ვერ დაამარცხებს, — „უნდა იბრძოლო, ის ქიმიაც ტყუილია და ყველანაირი მკურნალობაც, თუ ფსიქოლოგიურად არ ხარ ძლიერი“. ძალას კი რწმენა აძლევს და იმაზე ფიქრი, რომ სანამ შეუძლია, გაამხნევეს მათ, ვისაც მორალური დახმარება ძალიან სჭირდება. ვეკოსწიარად კი, სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ბევრია, — „უფრო ძიმი მდგომარეობაშიც... ხშირად ვფიქრობ, რამდენია ჩემნაირი, რამდენს უჭირს, არ აქვს მკურნალობის საშუალება... მე კი დამხმარებას ვითხოვ. ბევრს იმის საშუალება არ აქვს, ხალხს ხმა მიანუნდონ... მეც, სახლში რაც იყო გასაყიდი, ყველაფერი გავყიდე და სანამ რაიმე რესურსი არსებობდა, ჩემი მდგომარეობის გაპიარება ნამდვილად არ მინდოდა. მაგრამ იცით რა — ჩემი შვილის გამო, იმისთვის, რომ მას დედა ჰყავდეს, ყველაფერს გავაკეთებ“!

ვეკო მალე თურქეთში, ერთ-ერთ კლინიკაში გაემგზავრება იმისთვის, რომ დარწმუნდეს დაავადება შეჩერებულია და ძვლის ტვინის გადანერგვა ახლა უკვე შეიძლება... უცხოეთში გამგზავრება კი ერთადერთ მიზეზით გადაწყვიტა — „სამწუხაროდ, საქართველოში არ არის ისეთი ლაბორატორია, რომელიც მოლექულურ დონეზე შეძლებდა გამოკვლევას... კი ამბობენ, რომ ახლა სრული რემისიაა, მაგრამ ეს უცხოეთშიც უნდა დაადასტურონ, რათა შემდეგ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია მოხდეს“.

ოპერაცია საკმაოდ ძვირია, გერმანიაში 250 ათასი ევრო ღირს, თუმცა ამბობენ, თურქეთში იაფია. „საბოლოო განკურნება მხოლოდ ამ ოპერაციის შემდეგაა შესაძლებელი... სულ ქიმიას ვერ გაიკეთებ... იცით, შეიძლება ლეიკემიით არ მოკვდე, მაგრამ ქიმიამ მოგიღოს ბოლო“.

რომ დასრულდება ყველაფერი, დაიწყებ? — ვკითხვ ვეკოს... „არა, ვერასოდეს... მახსოვს, დედის მერე, პირველი ბუმი ნიკოლოზ ყალიჩავაზე ატყდა... რაც ნამლები მქონდა, მივუტანე, დავეხმარე, რითიც შემიძლო... თუ მომეცა საშუალება, ყველას დავეხმარებდი, ვერ დაგვირდებოდა, რომ ფანდის შევქმნი, მაგრამ მინდა, მათ გვერდით ვიყო... ყველზე მეტად ის მახარებს, რომ თანადგომა ვისწავლეთ ქართველებმა... აბსოლუტურად უცხო ადამიანები რიცხავენ თანხას... ცოტენი გამსახურდია ძალიან დამეხმარა და მინდა მადლობა გადაუხადო... ამ დროს არც კი ვიცნობდი. მესმის, დღეს ყველას უჭირს, მაგრამ სხვისი გასაჭირი გულთან ახლოს მიგვჯექს და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს“.

მართლაც ბევრს ნიშნავს თანადგომა, თუმცა არის რაღაც, რაზე საუბარს ვეკო მაინც ერიდება... გრძნობები, განცდა, რომელიც მარტო თვითონ იცის... რა ენატრება ცხოვრების ამ უმძიმეს პერიოდში? დედა... დედა ენატრება... „ჯანმრთელობა რომ მენატრება, ამაზე აღარ ვლაპარაკობ... მინდა, დედა ჩემს გვერდში იყოს... და ახლა რომ ვგრძნობ, რა გაიარა... ნარმოდენაც არ მინდა. უყურებ განწირულ თვალებს და ვერაფერს შევლი, ეს საშინელებაა. იცით, როცა ასეთ რამეს აწყდები და შენი სიცოცხლე 50/50-ზეა მაშინ, როცა ყველაზე მეტად გინდა ცხოვრება, ხვდები, არაფერი ღირს ნერვიულობად, ნვალებად... არაფერი ღირს შენი ჯანმრთელობის ფასად... ფიქრობ და ხვდები, რამხელა რამაა სიცოცხლე, რომ გინდა, იცოცხლო და გამოსავალი არ გაქვს... იმედია, დასრულდება ეს „სპექტაკლი“... თან იცით, რა არის? ასეთ დროს მარტო რომ რჩები შვილთან ერთად, საყვარელი ადამიანი კი, გვერდში დგომის მაგივრად, მიგატოვებს — შოკია. არ მინდა დეტალებში ჩანვდომა და თემის განვრცობა, მაგრამ ერთს ვიტყვი — იმ მომენტში, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა, წავიდე, მიმავლო... შეიძლება დაიბნა, შეეშინდა... მაგრამ ისეთი რაღაცები გააკეთა... ამაზე აუცილებლად ვისაუბრებ მერე, როცა გამოვჯანმრთელდები... თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ მან მე გამაძლიერა... ხშირად ვუბნები საკუთარ თავს — არ დავარდე, ვეკო, უნდა ადგე იმიტომ, რომ შენებს სჭირდები, ყველას უყვარხარ, სხვაგვარად მოქცევის უფლება არ გაქვს...“

გადავარჩინოთ ახალგაზრდა მსახიობი საქართველოს ბანკი ანგარიშის ნომერი: GE36BG000000797985600 მიმღები: მაკა კაჭახიძე

### რევიონი

## აჭარის ბაზარში შეუმონებალი რძის პროდუქტი იყიდება!

**გიორგი სირაძე**  
„ვერსიისთვის“ აჭარიდან

კვლევების მიხედვით, ბრუცელოზის ყველაზე მეტი შემთხვევა აჭარაში, ხულოს მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა. დაავადების სიხშირით გამოირჩევა სოფლები დიდაჭარა და ღორჯომი. აჭარის ამ სოფლებში, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევენ და აქ დამზადებული რძის ნაწარმით ბათუმის ბაზარი მარაგდება. ბაზრის დახლებზე კი რძის პროდუქტი უკონტროლოდ, ყოველგვარი შემონების გარეშე იყიდება!



ასოციაცია „მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარე რუსუდან გიგაშვილი ამბობს, რომ სტრატეგიულ გეგმაში, რომელზეც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო საუბრობს, კონკრეტული სამუშაოები განერილი არ არის: „ვფიქრობ, ბრუცელოზის ვაქცინაციის ვალდებულება სახელმწიფოს არ უნდა აეღო საკუთარ თავზე. ფერმერი უნდა იყოს დაინტერესებული საკუთარი მეურნეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებით. ადრე რომ დაგვეწყო რძის პროდუქციის კონტროლი, უკეთესი იქნებოდა. დაახლოებით 5 წლის წინ ერთ-ერთ კომპანიას შემოჰქონდა ვაქცინა და ფერმერი საფასურს თვითონ იხდიდა. ნიადაგი დაავადებასთან საბრძოლველად მომზადებული იყო, პროცესში ფერმერიც იყო ჩართული, მხოლოდ სახელმწიფოს კონტროლი იყო საჭირო, მაგრამ არ გამოვიდა“.

ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის თქმით, აპრილის შუა რიცხვებში თბილისს ბუდაპეშტიდან სამუშაო ვიზიტით ბრუცელოზის დაავადების ექსპერტები ენვევიან და ქართველ ექსპერტებთან ერთად, დაავადებასთან ბრძოლის კონკრეტულ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ. ჯამბულ მალაქელიძის განმარტებით, ბრუცელოზთან ბრძოლის პირველი ეტაპი ცხოველთა გამოკვლევაა, იდენტიფიცირება, სისხლის ანალიზის აღება და შემდგომი პრევენციული ღონისძიების გატარებას გულისხმობს. დაავადებული პირუტყვი სასაკლაოზე დაიკვლება, ხორცი გამოიკვლევა და ექსპერტი გადანყვეტს მისი რეალიზაცია მოხდეს თუ არა.

ასოციაცია „მომავლის ფერმერის“ მთავარი ვეტერინარი და ბიოლოგიის დოქტორი მიხეილ ჭიჭყაყუა მოსახლეობას ურჩევს, პასტერიზებული რძე მიირთვან, ოჯახის პირობებში ყველის დამზადებისას კი, რძის ამოსვლიდან 15 წუთით ხარშონ ყველი. მისი თქმით, ყველაზე უსაფრთხოა სულგუნი, სხვა სახეობაში კი დაავადების რისკი მაღალია. ვეტერინარი აქვე გვირჩევს, ხორცი კარგად მოხარშული გამოვიყენოთ. მიხეილ ჭიჭყაყუას თქმით, ადამიანში ბრუცელოზი შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: „ბრუცელოზი ახასიათებს ცხელება, ტემპერატურა აღწევს 40-41 გრადუსს (შეიძლება 7-10 დღე), უძილობა, გაღიზიანება, ბოღვა, ტაქიკარდია, ხუთვა, აირების დაგროვება ნაწლავებში, ძლიერი ოფლიანობა, ფაღარათი, ცალკეული კუნთებისა და სახსრების ტკივილი, ნევროზი... ბრუცელოზიანი დედის შვილს შეიძლება, გამოეყვას თანდაყოლილი სიმპტომები და ნერვულ-ფსიქოლოგიური აშლილობა. ზიანდება ელენთა, ღვიძლი, საშვილოსნო, სარძევე და სათესლე ჯირკვლები. ეს ფორმა შეიძლება მიმდინარეობდეს მცირედი გამოვლინებებით 1-2 წელიც კი“.

# თურქული კინოსელოვება თურქული სერიალების წინააღმდეგ

## რაცომ ცდილობენ თურქი კინემატოგრაფები, თავი აარიდონ ცედესერიადურ მანერებს და რომედია საქვეყნოდ აღიარებული თურქული სერიადი

### ქირი მგალოვლივილი კინოცოდნე

ქართული მსოფლიოსთვის თურქული სერიალები უცხო ხილი უკვე დიდი ხანია არ არის. პირიქით, თურქული სერიალების ბუმმა ბრაზილიური „საპანის ოპერების“ ეპოქაც კი ჩაანაცვლა. მეზობელი ქვეყნის ფილმებმა კი, ქართული ტელევიზორცისე დაიპყრო, ზოგადად, სერიალების მასშტაბებში ლამის ყველაფერმა თურქულმა გამოიწვიოს აგრესია. არადა, თურქულ კინემატოგრაფს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და საინტერესოც.

„ეს არის, სწორედ ეს... ყველაფერს ამისთვის ვაკეთებდი, ამისთვის მიწოდდა, მიმეღწია... ეს სიტობო, მოგიზიდავს ლუმელი, სასიამოვნო ხმები, საათივით აწყობილი სახლი!“ — სახელგანთქმული მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ორჰან ფამუქის ეს სიტყვები, არა მარტო სერიალებს, არამედ ზოგადად, თურქულ ტემპარიტ კინოხელოვნებასაც შეესატყვისება, რომელიც თურქული სერიალების წინაპრობა გახლავთ. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ სწორედ ამ „საპანის ოპერებისგანაა“ თურქული კინო შეზღუდული. არადა, ამ სერიალებიდანაც შეიძლება ამოვარჩიოთ საუკეთესო. მაგალითად, „დაკარგული დრო“, რომელმაც მსოფლიოს ტელესერიალთა ხუთეულში, „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების“ (სსრკ, რუსეთი), „რვაფეხას“ (იტალია), „საიდუმლო მასალებსა“ (აშშ) და „სანტა ბარბარას“ (აშშ) შემდეგ, საპატიო ადგილი მოიპოვა.

თურქეთი ნატო-სა და ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა, რომელიც ევროკავშირისკენ მიისწრაფვის. თანამედროვე თურქეთი დიდი ათათურქის მიერ ევროპიზირებული იმპერიის — ბიზანტიის, ოსმალეთის შემდგომი პერიოდის სახელმწიფოა. მისი მცირე ნაწილი, ბოსფორის იქით, ევროპაა, მაგრამ კინემატოგრაფიული თვალსაზრისით, აზიურ კონტექსტში განიხილება. მიუხედავად ამისა, ბევრ ფილმსა და განსაკუთრებით, ტელესერიალებში, ზოგადევროპულია და საკაცობრიო იდეალებისკენ სწრაფვა ჩანს.

გამოჩენილი ჟორჟ სადულის „მსოფლიო კინოს ისტორიაში“



თურქულ კინოს ერთადერთი გვერდი მიაკუთვნეს, ისიც გასული მე-20 საუკუნის 40-50-იანი წლების პერიოდი. არადა, თურქეთში კინო 1896 წელს, კინემატოგრაფიის ჩასახვისთანავე დაიბადა. შემდგომ წლებში, თურქულმა ფილმებმა, ბერლინისა თუ ვენეციის, დელისა თუ თეირანის, მოსკოვისა თუ სან-რემოს, ტამპერისა თუ კარლოვი-ვარის, თბილისისა თუ სხვა საერთაშორისო კინოფესტივალებში, წარმატება მოიპოვეს. თანაც, ფილმებს მხოლოდ „თურქული ცხოვრებიდან“ უჩვენებდნენ.

პირველი პრემიერა 1900 წლიდან, ბოგლუ ზე, თეატრ „ოდენონში“ მიეწყო. 1912 წელს კი, ქალაქ იზმირში სტაციონარული კინოთეატრი გაიხსნა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გადაიღეს „ჰიმეტ-ალას ქორწინება“ (მოლიერის „ქორწინების“ თურქული ვერსია), ხოლო 1915 წელს — ქრონიკები „ბათუმის პანორამა“, „დატყვევებული ინგლისელი ჯარისკაცი“ და სხვა. 1919 წელს, პოპულარულმა მსახიობმა, ახმეტ ფეიმა გადაიღო პირველი თურქული ფილმი „გუვერნანტი ქალი“...

მე-20 საუკუნის 20-იანი წლები თურქული კინემატოგრაფისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. მძებმა, შამირ და ქემალ სედენებმა, თეატრის რეჟისორ მ. ერტუგრულთან ერთად, თავისივე კომპანიაში გადაიღეს ფილმი „ცეცხლოვანი ტანსაცმელი“ (1923), პირველი ხმოვანი ფილმი, „სტამბოლის ქუჩებში“ კი, 1931 წელს ერტუგრულმა გადაიღო.

1934 წელს რეჟისორმა, სერგეი იუტკევიჩმა გადაიღო საბჭოთა-თურქული ფილმი „ანკარა თურქეთის გულია“. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, 40-იანი წლებში, თურქული კინოს წარმატებას ხელი, ერტუგრულთან ერთად, სხვა რეჟისორებმაც, მათ შორის, რეჟისორმა ეფენდიმაც შეუწყვეს. მათ ბევრ ფილმში იყო მისწრაფება, აესახათ იმ დროის თურქეთის ცხოვრება. ეს ფილმებია: „ათათურქი“ (1959, 1964 და 1966 წ. რეჟისორი ნ. ერსალანი), „უცხო ქალაქში“ (1963 წ. რეჟისორი), „უნყოფილი ზაფხული“ (1963 წ. ერკსნი), „გველების შურისძიება“ (1962 წ. ერკსნი). 1966 წელს ცნობილმა რეჟისორმა ა. იოლმაზმა გადაიღო ფილმი „ქალი ჰემაბე“.

და მაინც, რით იყო საინტერესო ეს ფილმები? ისინი კრიტიკულ რეალიზმს ამკვიდრებდნენ. ჩემი აზრით, უდიდესმა კინემატოგრაფიულმა მიმდინარეობამ — იტალიურმა ნეორეალისტმა, არა მარტო თურქულ სერიალებზე იმოქმედა, არამედ, ზოგადად, თურქულ კინოხელოვნებაზე დატოვა მნიშვნელოვანი, დადებითი კვალი. კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების ფონზე, მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებში, თურქული კინოხელოვნება ისევე, როგორც მთელი თურქული სინამდვილე, ურთულეს რეალობაში აღმოჩნდა: სახელმწიფო გადატრიალებებსა და მთავრობის უთავბოლო ცვლას, ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუარესება მოჰყვა.

საბოლოოდ, ლუკმა პურის შოვნის მიზნით, ბევრი თურქი მოქალაქე აღმოჩნდა ევროპის ქვეყნებში გასარბაიტურად (სტუმარი მუშა) და შვარცარბაიტურად (შავი მუშა). ეს ყველაფერი კი, არა მარტო თურქ, არამედ ევროპულ და ამერიკულ კინემატოგრაფისტთა ფილმებშიც აისახა. კაპიტალიზმი და მისი „საბაზრო ეკონომიკა“ უღმობელია ყველა ქვეყნისთვის. ცხარე სოციალურ პრობლემებს აშუქებდა თურგუტ დემირაგას „სხვადასხვა სამყაროები“ (1970 წ.). ეროლ ტაშის მიერ განსახიერებული გაქცეული პატიმარი კი, იმ პერიოდში, გაუსაძლის პირობებში მყოფი თურქის სახეა.

საყურადღებო აღმოჩნდა სურვია დურუს ფილმი „ბედრანა“ (1974 წ.), რომელიც ბეკირ ილდის ნანარობების მიხედვით გადაიღეს. ფილმი ემანსიპაციის თემას ეძღვნებოდა. იგი აქტუალური იყო 20 წლის წინ და აქტუალობას დღესაც არ კარგავს, განსაკუთრებით, მუსულმანური აღმსარებლობის ქვეყნებისთვის. 70-იან წლებში ფილმებს იღებდნენ თურქული კინოს გამოჩენილი ოსტატები, რეჟისორები: აკადი ილმეზ გიუნესი („ულამაზო“, „წყენა“, „ჯალაში“); დიდი რეზონანსი მოჰყვა რეჟისორ ფეიზი ტუნის ფილმებს „ცხელი მინა“ (1973 წ.) და „ჯარისკაცის დაბრუნება“ (1975 წ.), რომელშიც დიდ ქალაქში დანაშაულთა გახსნის გადაუჭრელი პრობლემების შესახება მოთხრობილი.

60-70-იან წლებში ტურკან შორაი თურქული კინოხელოვნების სუპერვარსკვლავი გახლდათ — 28 წლის ასაკში, 15 წლის სტაჟი და უკვე ნათამაშები ჰქონდა 200-მდე (!) ფილმში. სამშობლოში მასზე ლეგენდები დადიოდნენ. ამბობდნენ, როცა ეკრანზე ტურკან შორაი ტრის ან იციანის, ტრის ან იციანის, ზოგადად, თურქი ქალი.

გამოჩენილმა თურქმა რეჟისორმა ა. ილმეზმა 70-80-იანი წლების მიჯნაზე თავისივე სცენარით გადაიღო ფილმი „სულიერ იუსუფი, ანუ თანამედროვე ქორილი“. ამ პერიოდის ფილმებიდან აღსანიშნავია რეჟისორ ე. ორბის ფილმი: „მოდი, შევრიგდე“. 80-90-იან წლებში თურქეთში სოციალური პირობები გაუმჯობესდა, რასაც სათანადო დადგმები მოჰყვა, თუნდაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ტელესერიალებისა და კინოფილმების სახით. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა გახმაურებული თურქული სატელევიზიო სერიალი „იგი მაღლობელი ჩიტა“, მაგრამ მაინც პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 70-80-იან წლებში გადაღებული ფილმები: „უმალესი უფროსობა“, „დადგება დღე“, „ავტობუსი“, „ხიდი“ და მრავალი სხვა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ფილმების უმეტესობა აღიქმებოდა, როგორც კინოკრანზე რეალური ცხოვრების გადატანა. რეჟისორმა ზეკი დემირკუბუზმა 1994 წელს გადაიღო მხატვრული ფილმი „ბლოკი C“, ხოლო 1997 წელს „უდნაშაული“ (Masumyet), სადაც უკვე გვხვდება ტრილერის კანონიკა, რომელიც შემდგომ, რეალიზმ ფილმში „მესამე გვერდი“ (1999 წ.). ამ ეკრანიზაციაში, რეჟისორი შეეცადა, მოეთხრო არა მარტო კრიმინალური ისტორია, არამედ გადმოეცა მედიის კრიტიკაც: რამდენად შესაძლებელია სოციალური წყობის ანალიზით ადამიანის ქცევის ასხნა, საზოგადოების შეცნობა ე.წ. სოციოლოგიური ანალიზის, კანონისა და სამართლის საშუალებით?

მაშპუდი და ბერზენი, ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან სტამბოლში ჩადან. მათ ახალი ცხოვრების დაწყების სურვილი აერთიანებს, მაგრამ რეალურ ცხოვრებასთან შეუთავსებლობიდან გამოსავალი უკან, ღარიბ პროვინციაში დაბრუნებაა. სწორედ ეს მოტივაცია გამოამზურა თურქმა რეჟისორმა ქალმა, იემში ესტალიუმ ფილმში „მოგზაურობა მზისკენ“ (1999 წ.). ფერზან ოზბუტეკის ფილმი „ფანჯარა მოპირდაპირე მხარეს“ (2003 წ.) კი, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაზე გვიამბობს. ქმარი სარისკო სამუშაოს ეწევა, ჯოვანა ქარხანაში მუშაობს. ჯოვანა მსუბუქ ფლირტს აბამს მეზობელთან, რომელსაც ფანჯარაში ხედავს, მოპირდაპირე მხარეს. ჯოვანა ამავე დროს უფლის ებრაელ მოხუცს, რომელიც სახლში ქმარმა მიიყვანა. ფილმი კომპოდუქციით (იტალია, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, თურქეთი) დაიდგა.

გერმანიასთან ერთად შექმნილ ფილმში „თავი ახალე კედელს“ (2003 წ.), თურქი რეჟისორი ფატიჰ აკინი, შეეცადა, გერმანიაში თურქი ახალგაზრდა წყვილის ურთიერთობა ჩვენებინა ტრადიციული და რელიგიური საკითხების წინაშე მდგომარეობით, დაბრკოლებითა და ბედნიერი მომავლის იმედით.

ფილმი „ფოკუსი“ გადაიღო ქართული წარმომავლობის კინორეჟისორმა ქალმა — არზუ ელიფ აქდემირიმ. იგი 1968 წელს თურქეთში დაიბადა, 1990 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1996 წელს კი თბილისის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი დაამთავრა. ამ ფილმში რეჟისორმა 3 სხვადასხვა კამერის ტექნიკით ასახა ქალაქგარეთ ნასული სტუდენტები...

სემიჰ კიპლანოლუმ კი ფილმი „კვერცხი“, ბერძენ კინემატოგრაფისტებთან ერთად, 2007 წელს გადაიღო. აკლამიდან მომავალ გზაზე იუსუფსა და აილას სასტუმროში მოუწიათ ღამის გათევა, სადაც ერთმანეთით მოიხიბლნენ.

თურქულ-გრემანულ ფილმში „შემოდგომა“ (2008 წ.), რეჟისორი ოზჯან ალპერი შეეცადა, ჩვენებინა თურქეთში დემოკრატიისთვის ბრძოლა. ამ იდეის გამო, 22 წლის იუსუფს, სხვადასხვა ბრალდებით, 12 წლით სვამენ ციხეში. ავადმყოფობის გამო მას ვადაზე ადრე ათავისუფლებენ. ბრუნდება სოფელში. მამა გარდაცვლილია, და — გათხოვილი. მოგვიანებით, ის კვლავ ქალაქშია, სადაც ხვდება მსუბუქი ყოფაცქევის ახალგაზრდა ქალს, სახელად ეკას (!);



2008 წელს რეჟისორმა იესიმ უსტალიუმ გადაიღო ფილმი „პანდორას ყუთი“ (თურქეთი, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი). დიზაინერ-რეჟისორი მართლაც არქიტექტორულ (მისი სპეციალობა) დიზაინერ-რესტავრატორის შესაძლებლობის ხსნის ე.წ. პანდორას ყუთს; ფილმში „სამი მაიმუნი“ (თურქეთი, იტალია, საფრანგეთი), რეჟისორი ნური ბილგე ჯულიანი, ოთხი პერსონაჟის წყალობით (ქმარი, ცოლი, ვაჟი და ქმრის უფროსი), შეეცადა, ჩვენებინა მთავარი „მაიმუნები“ — ოჯახის წევრები თავს იკატუნებენ, თითქოს, სერიოზული პრობლემები მათ ოჯახს არ აქვს; რეჟისორმა მუსტაფა სერკან ეროზიმ 2010 წელს გადაიღო ფილმი „ჩუმი მდინარე ჩემში“, მთავარ როლებში ალი იგეტისა და ტაიეს ფარზანის მონაწილეობით, უკომპრომისოდაა ნაჩვენები ის არალეგალური ყოფიერება, რომლის შესახებაც ყველამ იცის, მაგრამ არავინ საუბრობს.

თურქი კინომოღვაწეები უცვლელად თანამემამულეების შესახებ კომპოდუქციის ფილმებში არ მონაწილეობენ, მაგრამ საქმეს ალბათ ამითაც აკეთებენ. „სარაევო შეილები“ კომპოდუქციული ფილმია, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის რეჟისორმა, აიდა ბეგიციმ 2012 წელს, ბოსნია-ჰერცეგოვინა, საფრანგეთი, გერმანია, თურქეთის მონაწილეობით გადაიღო. ომის შედეგად დაობლებული და-ძმა, კრიმინალური საქმეები და მათთვის ერთადერთი რწმენა — მუსულმანური აღმსარებლობა! რეჟისორმა კორაი სევინიმ 2012 წელს გადაიღო თურქული ფილმი „პური“, სადაც აღწერილია, როგორ მოიპარა გოზარდმა პური. მეთვალყურე ყოველივეს გამოჩნდება... იმავე წელს, რეჟისორმა მერვე ინჯემ გადაიღო ფილმი „გასაღები“. ამ ქალი რეჟისორისთვის უცხო არაა გაუცხოების თემატიკის აღწერა; 2012 წელსვე საინტერესო გახლდათ რეჟისორ ზეკი დემირკუბუზის მიერ გადაღებული ფილმი „ჯურული“, რომელიც გენიალური რუსი მწერლის, ფ. დოსტოვის ნაწარმოების — „ნანაწერი იატაკქვეშეთიდან“, ერთგვარი გათანამედროვეებული ვერსიაა. ძველ მეგობართან შეხვედრა ადამიანს საკუთარი ცხოვრების უადრეუკობას ცხადად აგრძობინებს; 2013 წელს, რეჟისორებმა, მეჰმეტ ბაჰადირ ერიმ და მარინა ერ გორბაჩიმ გადაიღეს ერთობლივი თურქულ-უკრაინული ფილმი „შემიყვარე“. უკრაინელი ლამაზმანი, ქმართან განშორების შემდეგ, მარტოდ დარჩენის მიშით, ფლირტს გააბამს უცხოელთან იმედით, რომ მასთან დაორსულდება და აღარასოდეს ნახავს, თუმცა, ცხოვრება სხვაგვარია; ფილმში „ნანაწერი“ (თურქეთი 2012 წ.) რეჟისორი ერდემ ტეპეგოზი, მსახიობ ჟანე არკანის შესრულებული როლით, იმ ქალის ბედის შესახებ გვიამბობს, რომელიც იძულებულია, შეთავაზებულ სამუშაოს დათანხმდეს; 2013 წელს რეჟისორმა რაბინ მატინიმ გადაიღო ფილმი უნაკლონი, სადაც არ შეიძლება გარდაცვლილი ბებიის სახლში დაბრუნებული ორი დის ნაკლოვანებაზე საუბარი. ისინი ერთმანეთის მიმართ აგრესიულები არიან.

თურქული კინო, თავისი გამომსახველობითი საშუალებებით, ცდილობს, თავი აარიდოს ტელესერიალურ მანერებს და გვირგვინს ცხოვრება ისეთი, როგორიც არის.



# ჯანდაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფს შორის მემორანდუმი გაფორმდა

## დავით სერგეენკო: „ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჩვენს პაციენტებს საბლვარგარეთ მკურნალობა არ დასჭირდეთ“



დავით სერგეენკო და შან ელი მალაშვილი

დადასტურდა, რომ სახელმწიფოსთვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა მართლაც პრიორიტეტულია. მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს ახალი რეფორმით, საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება.

ჯანდაცვის ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიაშვილმა მიიღო. პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობა, მათი უზრუნველყოფა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მომსახურებით, საქართველოს მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია. ირაკლი ლარიაშვილი იმედოვნებს, რომ საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობის შედეგად, ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულებით, საქართველოში სრულიად ახალი ხარისხის სისტემა ჩამოყალიბდება.

დავით სერგეენკო და საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფი Global Alliance for Health and Social Compact-ის წარმომადგენლები, უნმინდესა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს შეხვდნენ. პატრიარქთან შეხვედრისას სერგეენკომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი და უმაღლესი ღირებულება, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა; ჯანდაცვის სამინისტრო კი ყველაფერს აკეთებს, რათა მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება თითოეული მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ჯანდაცვის ექსპერტმა და ჯგუფის კოორდინატორმა შან-ელი მალაშვილმა განაცხადა, რომ პატრიარქთან შეხვედრა დიდი პატივია — საპატრიარქოში ვიზიტი ხაზს უსვამს, ეს პროექტი მნიშვნელოვანი და წარმატებული იქნება. დასასრულს, უნმინდესმა კურთხევა მისცა ჯანდაცვის სამინისტროს ახალ წამოწყებას. შეხვედრის შემდეგ კი პატრიარქმა სტუმრები დალოცა, ბაღი დაათვალიერებინა და მათ ქართული ღვინით გაუმასპინძლა.

### მანია მიხვალაძე

593-51-90-12

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა გრძელვადიანი ხელშეკრულებას საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფთან: Global Alliance for Health and Social Compact. ჯგუფის ამოცანაა, ჯანდაცვის თვისობრივად ახალი ინოვაციური მოდელის შექმნა. მისი გამოყენების ერთ-ერთი საბაზისო პრინციპი, ევროპული სამედიცინო სტანდარტების 100%-ით დაცვის პირობებში, ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე ხარჯების შემცირება იქნება. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ და ჯგუფის კოორდინატორმა, შან ელი მალაშვილმა.

შან-ელი მალაშვილის განცხადებით, ამ ჯგუფში შედიან ჯანდაცვის ექსპერტები, ის ადამიანები, რომლებსაც ჯანდაცვის გლობალური პროექტების შექმნისა და რეალიზაციის დიდი გამოცდილება აქვთ: „ხელშეკრულების თანახმად, ალიანსი საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლების პროგრამას შეიმუშავებს. კონცენტრირებული იქნება ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორებიცაა სტანდარტებისა და ნორმების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტების ხარისხიან, უსაფრთხო და ეფექტურ მკურნალობას; ნაციონალური დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროტოკოლების შექმნა; სამედიცინო და ფარმაცოლოგიური პროდუქტების თანამედროვე, სამართლიანი და ეფექტური მარეგულირებელი სისტემის მშენებლობა და მათი უსაფრთხოების მონიტორინგი ხარისხის კონტროლის ჩათვლით; ქვეყანაში ამჟამად მოქმედი „ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის“ გარდაქმნა აუცილებელ, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის სისტემად, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასა და ევროპულ სტანდარტებს დაეფუძნება; ადგილობრივ დონეზე, სამკურნალო დაწესებულებების ქსელის ორგანიზება, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება პაციენტებთან და სადაც სამედიცინო მომსახურების ოპტიმალური სპექტრის მიღება იქნება შესაძლებელი; მოსახლეობისთვის მედიკამენტებისა და ჯანდაცვის სფეროში ტექნოლოგიების ფართო დიაპაზონის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანდაცვის განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, მათ შორის, გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების, ასევე შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის“.

შან-ელი მალაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ პოზიტიური ნაბიჯი გადადგა, რომლითაც კიდევ ერთხელ



შან ელი მალაშვილი პრემიერთან

### პერსონალიზი



### მოსწავლეობა ავღანეთიდან ჯარისკაცების წერილები მიიღეს

საქართველოს თავდაცვის, იუსტიციისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლები თბილისის 82-ე და 85-ე საჯარო სკოლებს ესტუმრნენ. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი ბესიკ ხატიაშვილი და სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი დანყებებით კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ და ავღანეთიდან გამოგზავნილი საპასუხო წერილები პირადად გადასცეს.

მთავარი სერჟანტი ბესიკ ხატიაშვილი 85-ე საჯარო სკოლაში იმყოფებოდა. მან, ადრესატებთან ერთად, ჯარისკაცების მიერ გამოგზავნილი წერილები წაიკითხა. პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი 82-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა. შეხვედრაზე ბავშვებმა სამხედრო მოსამსახურეებთან ქართული ჯარისა და ჯარისკაცების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების შესახებ ისაუბრეს.

წერილების ადრესატებს სიტყვით მიმართეს იუსტიციის სამინისტროს სისპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსმა, ვლადიმერ ხელაძემ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსმა, თამარ მალაზონიამ. მათ პროექტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და ბავშვებს ქართული ჯარის თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.

„წერილი ჯარისკაცებს“ საქართველოს იუსტიციის, თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივი პროექტია, რომელსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი სტრუქტურულად ეხმარება და ახორციელებს. მის ფარგლებში ქალაქ თბილისისა და საქართველოს რეგიონების სკოლების მოსწავლეები წერილებს უგზავნიან ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს. პროექტის მიზანია, სამშობლოდან შორს მყოფი მეტრძოლებისთვის თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვა, ასევე მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა.

„პირველი“



ვაზისუბნის „40 მონაშე“

გელა ქოძიაშვილი

ვაზისუბნიდან სამხრეთით, დაახლოებით სამ კილომეტრში ტყეში გაჭრილ ახალ ფართო გზას აღმოსავლეთით მდებარე ხევიდან ერთი ვიწრო გზა უერთდება. როგორც ჩვენი მეგზურები მეუბნებიან, ეს მცირე გზა ჭერემიდან მოდის, ხოლო ხევს წილიანა ჰქვია. აქ კარგ ამინდში ორნიდან მანქანას გავლა არ გაუჭირდება. ახლა შემოდგომის ტყეში და მით უმეტეს ხევში ნისლია ჩამონოლილი და წილიანახევიდან ჭერემის ხევში გადასავლელი უღელტეხილი არ ჩანს. სამასიოდ მეტრში, ხელმარცხნივ კიდევ ერთი ვიწრო გზა შედის, რომელიც, ძირითადი გზისა არ იყოს, ახალია.

— აქ კი ნამდვილად უნდა გადავხვი- ვოთ დროებით, — მეუბნება სვიმონ მანუჩარაშვილი.

ვუხვევთ... ასობდ მეტრის მერე შემოდგომის ტყიდან პატარა გუმბათიანმა ტაძარმა გამოანათა. ეს VI-VII საუკუნეთა მიჯნის 40 მონაშის სახელობის ეკლესიაა. დაახლოებით 30 წლის წინ რესტავრატორებს ტაძარი კარგად აღუდგენიათ და სახე შეუნარჩუნებიათ, ასეთი ძეგლები თითზე ჩამოსათვლელია, ერთ-ერთი მათგანი ვაჩნაძიანში მდგარა, მაგრამ დაზარალებულია.

„40 მონაშე“ გარედან ოქტაგონური, შიგნიდან კი ჯვარგუმბათოვანი ტაძარია. იგი თითქმის ტოლმკლავაა (5,5X5,1 მ) აქვს ორი არქიტრავული კარი (სამხრეთისა და ჩრდილოეთის) და ერთადერთი სარკმელი (საკურთხეველის აფსიდში). უსარკმლო გუმბათის ყელი ნაგებობის პროპორციულია და მასავით რეა- ნახნაგა. დიდი ოქტაგონიდან მცირე ოქტაგონზე გადასვლა ტრომპებზე ხდება. ტაძარი ნაგებია რიყის ქვის ზუსტი თარაზული ნიშებით, კუთხეები გამოყვანილია შირიმის ქვით. „40 მონაშის“ შიდა სივრცე იმდენად ვიწროა, რომ 3-4 კაცი თუ დაე- ტევა. ვფიქრობ, ასეთი ტაძრები მრევლისთვის არც იყო გათვალისწინებული (გავიხსენოთ ზეგანის „წმ. მარინე“), იგი მხოლოდ მღვდლის საიდუმლო მსახურების ადგილი იყო, მრევლი კი გარეთ იდგა და მოძღვარს იქ ელოდა... ეკლესია რომ უმრევლო არ იყო, ამას მის გა- რეშემო აღმოჩენილი ნასოფლარის კვალიც ადასტურებს.

„40 მონაშე“-დან ისევ სამხრეთ დასავლეთით ვაგრძელებთ გზას და დაახლოებით ორი კი- ლომეტრის გავლის შემდეგ, ტანაყრილი ტყის შუაგულში, ოქროსფერი ფოთლების ხალიჩაზე ვადგამთ ფეხს. მორღვეული გალავნის იქიდან ხარაჩოებსა და ჩარდახქვეშ მოქცეული დიდი საყდარი გვიმზერს. თითქოს, ჩვენ გველოდებო- დაო, ხეებს ნელქარმა გადაურბინა და ააშრიალა. მგონი, ტაძრის კედლებიდან აშლილმა პაპის პაპათა სულელების გუნდმა გადაგვიქროლა. ეს სანაგირის ყველაწინდა...

საუცხოოდ ნაგები კედლებია: რიყის ქვა, აგური, აქა-იქ დიდი ლოდები, აქა-იქ შირიმი...

განსაკუთრებით სახიერი აღმოსავლეთის მხარეა, საითკენაც სამნავიანი ეკლესიისა და მომდევნო ხანებში მასზე აქეთ-იქიდან მიდგ- მული დარბაზული საყდრების საკურთხეველის კედლები გამოდის. სწორედ ეს მხარე წარმოაჩენს თვალნათლივ სამშენებლო ფენებს და ეპოქალურ სტილს.

ძირითადი საყდარი სამნავიანი ბაზილიკაა. იგი კვირიკე II-ის დროს, X საუკუნეშია აგებული. მას სამი შვერილი აფსიდი აქვს. აფსიდები შესა- ბამისი ნაგების პროპორციულია — ორი მცირე და ერთი დიდი. რიყის ქვის რეგისტრებს აგურის რეგისტრები მოჰყვება, მეგრე ისევ რიყისა და ა.შ.. შუაგულში სარკმლებია: განაპირა აფსიდებში — თითო-თითო და მცირე, ცენტრალურ აფსიდში — სამი და მაღალი. ისინი შირიმის ქვის სამმაგი ლილვებითაა გარემოწერილი. ცენტრალური აფ- სიდის ზევით, ფრონტონში ჩადგმულ რელიეფურ ჯვარს ამჟამად ხის ტოტი ფარავს.


სამხრეთიდან მიშენებული ეკლესია კვირიკე III-ის დროინდელია (XI ს-ის დასაწყისი) და აღ- მოსავლეთ კედელი მთლიანად შირიმის ქვისა აქვს. ჩრდილოეთიდან მიშენებული ეკლესია მცირე სამლოცველოა, იგი კვირიკე IV-ის დროინდელია (XI-XII სს), შვერილი აფსიდი არ აქვს და მოკრძა- ლებულია.



ქვათა მაციანე

ტყის ზღაპრები

ქარემის ქვეყანა



ვაზისუბნის „სანაგირე“: აღმოსავლეთის ფასადები და წარწერა გორგასლის შესახებ

აღმოსავლეთით მთელი ეს კომპლექსი სიგა- ნეში 23 მეტრია, დასავლეთით — ნაკლები. ტა- ძარში ამჟამად სამი კართი შეიძლება მოხვედრა. მათ შორის მთავარი დასავლეთისაა.

ძირითად ეკლესიას სამ ნავად ორი ნევილი სვეტი აწინავერებს. გვერდითი ნაგები, რა თქმა უნდა, ძირითად ნავთან შედარებით ვიწროა, მაგრამ არც იმდენად, როგორც სოფლის ქვედა ბაზილიკაში — VI ს-ის სიონში ვნახეთ. დაკვირვე- ბული თვალი შენიშნავს, რომ სანაგირის X ს-ის ბაზილიკის საკურთხეველის აფსიდი ნალისებრი ფორმით (ეს ადრე შუასაუკუნეების ფორმაა) იწყება, მაგრამ თანდათან ნახევარწრიულ სახეს იძენს. საკურთხეველის კედელს, მთელ გაყოლე- ბაზე ორსაფეხურიანი ხარისხი (ჩამოსაჯდომი) გასდევს. ცენტრში კი, სარკმლის ქვეშ, სანინამძ- ლერო ნიშაა გამოკვეთილი. ნიშის წინ ტრაპეზის დიდი ლოდია.

ისევე, როგორც დიდი საყდრების უმეტესობა- ში „სანაგირეშიც“ სადაიკვნოსა და სამკვეთლოს თავზე თითო-თითო ფარული ოთახია. სამხრეთ- დასავლეთ მონაკვეთში კი კრიტაა.

ბაზილიკაზე სამხრეთიდან მიშენებული ეკლე- სია სიგრძეში ბაზილიკის ტოლია და ფართო, მაგრამ იმდენად დაბალია, რომ ძირითადი ეკლე- სიიდან შესულს სული გეხუთება. ამ ეკლესიას ქვის ძველი კანკელი აქვს.

ჩრდილოეთის ეკლესია არაფრითაა გამორ- ჩეული.

ახლა დროა, ნართექსის ჩრდილოეთ ოთახის



შაშიანის „სამეზა“: ხედი სამხრეთიდან და ინტერიერის ფრაგმენტები

ბილი სამჭედლო ყოფილა. ჩვენს წინაპრებს სწორედ ასეთი სოფლის სიახლოვეს აუგიათ ჯერ პატარა ეკლესია, მერე კი მონასტერი.

სანაგირეს ერთი ისტორიული ამბავიც უკავ- შირდება: 1747 წლის ერთი ჩანაწერის მიხედვით, როცა ნადირ-შაჰს კახეთისთვის 200 000 თუმნის გადახდა დაუვალბია, აჯანყებულ მოსახლეობას ბოჭორმის ციხისა და ლოპოტის ხევის მსგავსად, კალაურის ტყისთვის, კონკრეტულად კი სანაგ- ირესთვისაც შეუფარებია თავი. ერეკლე, თურმე, სანაგირეში ყოფილა აჯანყებულებთან ერთად.

სანაგირიდან დასავლეთით, მცირე ქედს იქით, ტყით დაფარულ პატარა ხევში, კიდევ ერთი მონასტერი — შაშიანის „სამეზაა“. ჩვენს ნაც- ნობ მეგზურებს — ლერი ჩხეტიანსა და ბადრო ბასიშვილს ამ მონასტრისკენ სოფელ კალაუ- რიის მხრიდან მივყავართ; გვეუბნებიან — აქედან უკეთესი გზა მიდისო, მაგრამ სინამდვილეში ეს „უკეთესი გზაც“ საურმე ბილიკს უფრო ჰგავს. ერთი ციდა „სუძუკი“ კალიასავით სკუპ-სკუპით მიდის დაბურულ ტყეში. ვინ იცის, მერამდენედ მახსენდება მემატანის ნათქვამი — კახეთი მტრისგან შეუვალე ტყე იყოო.

„სანაგირის“ მერე, თითქოს, რაღას უნდა მოვეხიბლე და გავეოცებინე, მაგრამ ისტორი- ული ჭერემის ქვეყანაში მოგზაურობა ზღაპარ- ში მოგზაურობას ჰგავს. შაშიანის „სამეზა“ ამ ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟია.

... ხეებს ფერადი სამოსელი გაუხდიათ და მინაზე გაუშლიათ. იქვე — მაყვლის ბარდები და ჩამოძენილი სუროები, მინიდან თავანა- ყოფილი ხავსიანი ლოდები, მოშორებით — მოზრდილი მოედანი და ზედ გუმბავით მდგარი ნატარალო...

VI-VII საუკუნეთა მიჯნის ამ საყდარს ჩრდი- ლო-დასავლეთიდან მივადევით. ქვათა წყობის ტრადიციული კახური სტილი, ბრტყელი პირით მომზირალი თანაბარი ზომის რიყის ქვები, ზუსტი თარაზული რეგისტრები... სამეკლესიან საყდარს მაღალი და ფართო, თაღოვანი მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონია, მაგრამ მერე ამოუშენებიათ, დანარჩენი ორი შესასვ- ლელი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკლესიების ფასადებშია გაჭრილი და ორთაღიან კარიბჭეებს წარმოადგენს. სამხრეთის ეკლესია, კარიბჭის ჩათვლით, გადარჩენილია, ჩრდილოეთისა კი ჩამოშლილი. ეკლესიის წინ და შიგნით ქვევრები აწყვია, მორღვეული კარიბჭის სვეტი სურათია შემოსილი. გვერდითი ეკლესიების, სადაიკვნოსა და სამკვეთლოსგან განსხვავებით, ცენტრალურ ეკლესიას (შიდა ზომები 12,5X5,5 მ) არათუ კამარა, კონქიც აღარ აქვს. საკურთხეველის აფ- სიდი, მაღალი სარკმლის თალი და სხვა თაღები მკვეთრად ნალისებრია. ერთ-ერთი ასეთი თალი, რომელიც ცენტრალურ ეკლესიას ჩრდილოეთ ეკლესიასთან აკავშირებდა, ისევე ამოშენებული, როგორც დასავლეთის კარიბჭის დიდი თალი. საკურთხეველიდან სადაიკვნოსა და სამკვეთლოში გასასვლელი კარი არქიტრავულია, ტაძრის გრძივ კედლებს პალასტრები და დეკორატიულად დან- აწვერებული ნაკეთები არ აქვს.

მეტად ორიგინალური და მოულოდნელია ძვალთშესალავის მდებარეობა. იგი ცენტრალ- ური და ჩრდილოეთ ეკლესიების გამყოფი კედლის ქვეშაა გამოკვეთილი აღმოსავლეთ ფასადში. ძვალთშესალავი გრძელი და ვიწროა (3X0,6X0,6). დაახლოებით IX საუკუნიდან აქ მონასტერი რომ ჩამოყალიბებულია, ამას ტაძრის ტერიტორიაზე შემორჩენილი გალავნის უმნიშვნელო ფრაგ- მენტები და რაც მთავარია, საკმაოდ მოზრდილი ორი ნაგებობის ნაშთები ცხადყოფს.

ძველი იმდენად შთამბეჭდავია, რომ განშორე- ბა მიჭირს.

— რომ არ ციოდეს, კაცი გვიანობამდე დარჩე- ბოდა აქ, — ვეუბნები მანქანაში ჩაჯდომისას ლერი ჩხეტიანს. იგი „სუძუკის“ ქოქავს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მანქანა სველ აღმართში ტანს ვერ ერევა, ფოთლებზე „ფეხი უსხლტის“. იძულებ- ბულნი ვართ, ჩამოვიდეთ და რაღაც ვიღონოთ. მე კარგა ხანს ისევ ეკლესიას ვუტრიალებ. მან- ქანის სიჯიუტის მიზეზს მხოლოდ შებინდებისას ვიგებთ.

მე მგონი ამაში უფლის ნება უფრო ერია, რომელმაც ჩემი თხოვნა შესიშინა.

ავტორის ფოტოები



აღვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

7			4	5			3	
		6				2		
						2	1	9
			8				6	3
			9					
3	1			2				
8	5	4						
			7				5	
	9			6	3			1

7	9			6				1
		6						5
	2				1			8
		5			2	4		
				3	7	6		
		1	8				9	
1			6					4
	6						5	
8				5			6	3

	8		9		3	5		
4								
	3	2			4			1
					7	4	2	3
				3		1		
5	2	3	6					
3			4			7	1	
								4
	6	8	5			3		

				7	6	5		
8			2					9
6		5			9	8	2	
9			3					
	8			1			3	
					7			8
	9	8	5			3		1
	6				1			2
	1	7	4					



## ტომატის პაქსინა ალსკვიმერის წინააღმდეგ

კორეელმა მეცნიერებმა ალსკვიმერის დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინის შესაქმნელად პომიდორი გამოიყენეს. ლაბორატორიულ თავგებზე ჩატარებული ცდებისას აღმოჩნდა, რომ საკვები ვაქცინა ძლიერ იმუნურ რეაქციას იძლევა ტოქსიკური ცილა-ამილოიდის წინააღმდეგ, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაავადების განვითარებაში. ალსკვიმერის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი თავის ტვინში ცილა ბეტა-ამილოიდისგან კოლტების წარმოქმნაა. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ამ ცილის დონის შემცირება, მაგალითად, იმუნური შეტევით, დაავადების განვითარებას შეაფერხებს. კორეელმა სპეციალისტებმა ბეტა-ამილოიდის გენი პომიდორის გენომში შეიყვანეს და მიღებული ვაქცინით, სამი კვირის განმავლობაში, მღრღნელებს მკურნალობდნენ. მათი სისხლის შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენა ძლიერი იმუნური პასუხი ანტისხეულების წარმოქმნით. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ახალი მიდგომა დაავადების მკურნალობაში პერსპექტიულია.

## ჩინოვნიკებს სიმსუქნისთვის დააჯარიმებენ



უახლოეს მომავალში კომპანიები, რომლებიც ალაბამას შტატის საჯარო მოხელეებს სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფენ, ჭარბი წონის გამო კლიენტების დაჯარიმებას დაიწყებენ — სახელმწიფო დაწესებულებებში სავალდებულო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდება დიაბეტის, გულისა და სხვა დაავადებების რისკფაქტორების გამოსავლენად, რომლებზეც ზედმეტ წონას უკავშირდება. იმ ჩინოვნიკებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც არაა დაკმაყოფილებელი იქნება, ერთი წელი მიეცემათ გამოსაჯანმრთელებლად, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ საქმე უკეთესობისკენ თუ არ შემოტრიალდება, საჯარო მოხელეებს დაზღვევის გადასახადს თვეში 25 დოლარით მოუმატებენ. სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ღონისძიება შედეგს გამოიღებს და ალაბამელ ჩინოვნიკთა ჯანმრთელობაც გაუმჯობესდება. ამჟამად ალაბამას მკვიდრნი, სიმსუქნის დონის მიხედვით, აშშ-ში მეორე ადგილზე არიან.



## ემოციების მოთოკვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ბრიტანელი მკვლევარების ექსპერიმენტებში მონაწილეობა 6 ათასმა მოხალისემ მიიღო. სწავლულებმა გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა განათლება, მუდმივი სამუშაო და ფსიქოლოგიური ვიზიტები. მონაცემების შეკრებისა და მათი განალიზების შემდეგ სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანები, ვინც ემოციებს არ ამჟღავნებს, უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მათი ემოციური თანატოლები. თუმცა, გერმანელ სწავლულებს სხვა მოსაზრება აქვთ — ემოციების ჩახშობა გულის კუნთის კუმშვის სიხშირეს ამცირებს. თუ ადვილად აღგზნებად ადამიანებთან ეს მოვლენა ემოციის გამოვლინების დასრულებისთანავე გაივლის, თავშეკავებულებში პულსი აჩქარებულია დიდი ხნის განმავლობაში, რამაც შედეგად, შესაძლოა, ჰიპერტენზია, გულის იშემია და თირკმლის დაავადებაც გამოიწვიოს. თუმცა, სწავლულები აცხადებენ, რომ ვისაც ემოციების მოთოკვა შეუძლია, უფრო ჩქარა გამოჯანმრთელდება, ვიდრე ემოციური პიროვნება — ეს ეხება ინფექციურ დაავადებებს, მათ შორის ისეთ მძიმესაც, როგორც ტუბერკულოზი.

## წინა ნომერში გასული სკანოკრდისა და სულოკუს პასუხები

1	9	8	5	6	7	4	2	3
2	7	6	4	3	1	9	5	8
5	4	3	2	9	8	1	7	6
9	5	2	3	4	6	8	1	7
3	1	7	9	8	2	6	4	5
8	6	4	7	1	5	3	9	2
7	3	1	8	5	4	2	6	9
4	2	9	6	7	3	5	8	1
6	8	5	1	2	9	7	3	4

2	9	4	6	8	1	5	7	3
7	6	5	4	3	2	1	9	8
3	8	1	9	5	7	6	4	2
6	5	3	1	9	8	7	2	4
4	2	8	5	7	6	3	1	9
1	7	9	2	4	3	8	6	5
8	1	7	3	2	9	4	5	6
9	4	6	8	1	5	2	3	7
5	3	2	7	6	4	9	8	1

1	8	9	7	5	4	6	3	2
2	5	7	3	1	6	4	9	8
4	6	3	2	9	8	1	7	5
9	2	6	1	8	3	7	5	4
8	7	5	4	2	9	3	6	1
3	4	1	6	7	5	2	8	9
7	9	4	5	6	2	8	1	3
6	3	8	9	4	1	5	2	7
5	1	2	8	3	7	9	4	6

7	2	1	9	4	5	6	3	8
9	6	3	2	1	8	5	7	4
8	4	5	3	7	6	2	1	9
1	5	4	8	6	2	3	9	7
6	3	7	5	9	4	8	2	1
2	9	8	1	3	7	4	6	5
5	1	2	7	8	3	9	4	6
4	8	9	6	2	1	7	5	3
3	7	6	4	5	9	1	8	2

მე-10 გვერდი: 1. ჭიკარტი; 2. იამაიკა; 3. ათერომა; 4. ტაიმი; 5. ტემპერა; 6. ეპილოგი; 7. პელმენი; 8. რური; 9. ამნეზია; 10. ნარკოზი; 11. დანი; 12. სქიზოფრენია; 13. ჰიტლერი; 14. რილკე; 15. ფეოდალიზმი; 16. სინდრონი; 17. ფეროვი; 18. კამა; 19. სიდონია; 20. გინესი; 21. ექსელი; 22. სილოი; 23. დღე; 24. იარანგი; 25. კათეტი; 26. აბუეტი; 27. არამ; 28. ეტრატი; 29. სერვიზი; 30. ლეჩო; 31. სუსანა; 32. ვიმ; 33. კომა; 34. „ჩარირამა“; 35. ავერსი; 36. ზამბარა; 37. „რომა“; 38. ორხაო; 39. როზგი; 40. თითა; 41. ატრია; 42. ტერ; 43. ენზიმი; 44. რული; 45. არაკი; 46. თრია; 47. ია; 48. ეხი; 49. ზრო; 50. მიოზიტი; 51. მილერი; 52. აგა; 53. მიმი; 54. ცისტეტი; 55. ილიამნა; 56. ალია; 57. ტიარა; 58. ზმაი.

მე-12 გვერდი: 1. კომოდი; 2. ოკლაჰომა; 3. ოკრიბა; 4. ალმური; 5. ლაფსუსი; 6. უნაგირი; 7. ფლირტი; 8. ელემენტი; 9. ენძელა; 10. აფთარი; 11. ტანგენსი; 12. ლივერპული; 13. ჰეზე; 14. ტიკი; 15. უტილი; 16. იბისი; 17. ემუ; 18. ანალოგი; 19. ისარი; 20. ბარდი; 21. იოანე; 22. პაიკი; 23. „ქვინი“; 24. ბამპერი; 25. სინჯარა; 26. ჯაკარტა; 27. ნეო; 28. რონე; 29. ბობი ჩარლტონი; 30. რომი; 31. ბამბა; 32. სიუ; 33. არპეჯო; 34. საბუე; 35. ატა; 36. „სადაი“; 37. პერიკლე; 38. პან; 39. ეკლარი; 40. ილტი; 41. მნე; 42. ტრიკონი; 43. არიოზო; 44. ასკილი; 45. მაჩეტე; 46. რაფია; 47. მარა; 48. ასტრა; 49. ტიტანი; 50. იფი; 51. იფრინდა; 52. კიი; 53. ალბა; 54. აბისალი; 55. სეირი; 56. კაისა; 57. ალფა; 58. აია; 59. ადელი; 60. სამურაი; 61. ალტი; 62. ტიბრი; 63. ანიკა; 64. ვატო; 65. ავიზო; 66. ილი; 67. ნესტი; 68. არამ; 69. იან; 70. ბაზალტი; 71. სირ; 72. ნედვედი; 73. ბია; 74. ბარიბალი; 75. პაი; 76. ბუ; 77. სალი; 78. დანაე; 79. ჰობრიდი; 80. დონ; 81. რევერსი; 82. ჰერ; 83. იარუსი; 84. ლი; 85. მორგანი; 86. მისიმა.

1. ქალაქის ელექტრო-რკინიგზა	2. სამურაბე ლამბაქი	3. „ენა...“ სარწმუნოება	4. ოფიციალური დოკუმენტი	5. ინგლისელი მუსიკოსი რი... ..	6. მონათა ავანსურის ბელადი	7. მწვანის სახეობა	8. მსხვილი რქოსანი საქონლის ჯიშები
9. ასტრონომიული კუთხე	10. მდინარე ვოლგის ძვ. სახელწოდება	11. ბეთპოვნის 23-ე სონატა	12. სელონური თამბი	13. დეკორატიული ყვავილი	14. ძველბერძენი მოქანდაკე	15. კავკასიის ერთ-ერთი მთავარ-მართველი	16. „მდივანის გაზი“
17. შამიანი გველის სახეობა	19. პუნების ბელადი	20. „როსთა-ვი 2-ის“ ტელე-პროექტი	21. პატარა საწინახელი	22. გამოსა-დამზინება-ობტ. სეო-საწყობები	23. ცელის ინფექციური დაავადება	24. ბატკანი ერთ წლამდე	25. სპორტული ნაწარმის ფირმა
26. წინასა-დგომი კოცონი	27. ქალაქის თვითმმართველობის შტ. ფრ-ში	28. ნოემბერი ქართული წარმარ. კალენდრით	29. იტალ. მწერალი უმბერტო ...	30. ინდიელთა ერთ-ერთი ნაგი	31. შილის მომდევნო რიცხვი	32. საფრანგეთის საფესტივალო ქალაქი	33. „ოთახი“ მატარებლის ვაგონში
34. ნარკოტიკული ნივთიერება	35. „ოთახი“ მატარებლის ვაგონში	36. მწერალ ფურცელა-დის სახელი	37. გაუნათ-ლებელი გლეხი	38. გერმანული კოს-მეტიკური ფირმა	39. ძვ. რუსული სიგრიძის საზომი	40. „ქართლის გული“	41. ნოტიო და ჩა-სურებული ფქვილი
42. ფრანგი ლექსიწერი	43. მდინარე ციმბირში	44. ჩინური ტან-ვარჯიში	45. ქვეყანა დასავლეთ აფრიკაში	46. კურკოვანი ხილი	47. ვოლითი ქართულ ხალხურ ზღაპრებში	48. მალა-საყელიანი ჯემპარი	49. თვითმფრ. სმელთზე სამოძრაო მოწყობა
50. თბილისის გარეუბანი	51. თურქული მარგარინის მარკა	52. იაპონური თეატრის სახეობა	53. დიდი აბრეშუმის გზა	54. წამლის ბურთულა	55. საფე-ვილე ყუთი წისქვილში	56. ზედა სასუნთქი გზების დაავადება	57. შამიანი ბუჩქოვანი მცენარე
58. ზიზიური აბრაამის ცოლი	59. ლიტერა-ტურის ჯიშები	60. მუ-სიალური გამის II ნოტი	61. ბიბლიური კილოზის ამეგები	62. მონღოლი დიდ-ბული	63. საწერი ქალაქის საზომი ერთ.	64. ცეცხ-ლის მნათი ნაწილი	



## კალამი ნანომელნი



კალამი ნანომელნიტ სკავებ პროდუქტში სამომ ქიმიურ ნივთიერებებს ავლენს და თვალს ადევნებს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ეს სასწაული კალამი აშშ-ს სან-დიეგოს უნივერსიტეტის სწავლულების „შემოქმედება“, ნანომელანი კი გლუკოზაზეც რეაგირებს და მისი მეშვეობით სისხლში შაქრის

დონის განსაზღვრაც იქნება შესაძლებელი. მელანი ასევე რეაგირებს სხვადასხვა დამაბინძურებელ ნივთიერებაზე, მათ შორის მძიმე მეტალებსა და პესტიციდებზე, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს განსაზღვროს, რამდენად უსაფრთხოა კოსმეტიკა თუ საყოფაცხოვრებო ქიმიკა. სიახლის გამოყენება სხვადასხვა ზედაპირზე შესაძლებელია: ადამიანის თუ ცხოველის კანზე, ასევე მცენარის ფოთოლსა და ნაყოფზე. შედეგად, მომხმარებელი პესტიციდებისა და ჰერბიციდების დონეს აკონტროლებს და უსაფრთხო პროდუქტს მოიხმარს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კალამი მხოლოდ პროტოტიპის დონეზეა შექმნილი და გაყიდვამდე უამრავი ცდა უნდა გაიაროს.

## ყავა ჩიცის ნერწყვით



სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სულ უფრო პოპულარული ხდება ისეთი უჩვეულო პროდუქტი, როგორც ჩიცის ბუდე და რომლესაც ნერწყვისგან აგებს სალანგანა (მერცხლების ადგილობრივი სახეობა). ამ დელიკატესს ამატებენ ყავაში, ფაფაში და ზოგჯერ სუპშიც. ტრადიცია თავიდან ჩინეთში გაჩნდა, შემდეგ კი მის მეზობელ ინდონეზიაში, მალაიზიაში, ტაილანდსა და ვიეტნამშიც გავრცელდა. პროდუქტი საკმაოდ ძვირია — ერთი კილოგრამი ბუდის ფასი 2 500 დოლარს აღწევს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მასზე წელიწადში თითქმის 5,5 მილიარდს ხარჯავენ, პროგნოზების მიხედვით კი, ეს თანხა 2020 წლისთვის შესაძლოა ორჯერ გაიზარდოს. დელიკატესის მწარმოებლებში ინდონეზია ლიდერობს, მალაიზია მეორე ადგილზეა, სადაც სალანგანას ნერწყვისგან ადგილობრივი კომპანიები პუდინგს, კანფეტსა და კოსმეტიკას ამზადებენ და ათჯერ მეტ მოგებას იღებენ, ვიდრე სუფთა ნედლეულის რეალიზაციით.

## ელექტროენერჯიას სახლი ეამოიძუქაქს

ვიდრე მსოფლიოს მეცნიერები მუშაობენ ისეთი შენობის შექმნაზე, რომელიც მინიმალურ ენერჯიას მოიხმარს, ერთმა გერმანელმა მინისტრმა, შეიძლება ითქვას, მომავალში გადააბიჯა — პეტერ რამზაუერმა ისეთი სახლი დააპროექტა, რომელიც ორჯერ მეტ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს, ვიდრე დახარჯავს. დამატებით ენერჯიას აკუმულატორები გამოიმუშავებს და მათი დატენვა სახლის ბინადრებს შეეძლებათ. მინისტრის იდეას ბევრი ავტოკომპანია გამოეხმაურა და მზად არიან, მის რეალიზებაში მიიღონ მონაწილეობა. გერმანელებს კომბინაცია „ავტო-სახლი“ სრულიად რეალურ პროექტად მიაჩნიათ, რადგან ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერჯიის 70% სწორედ სახლსა და ავტომობილებში იხარჯება. „სახლი-აკუმულატორის“ პროექტი იხსენიერ ვერნერ ზოპეკს ეკუთვნის და წლის საუკეთესო პროექტადაა აღიარებული. სახლის აშენება კი, წინასწარი გათვლით, 3 მილიონი ევრო დაჯდება.



**ვერსია**  
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
 e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge  
 UDC(უპკ)070.48:32(479.22)3-387

დაფუძნებელი და მთავარი რედაქტორი  
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი  
 მმართველი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,  
 გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.  
 სტილისტი — ნინო ებანოძე  
 დიზაინერი — გიორგი ლომსაძე  
 ტელ: 2942399

ISSN 1987-8699  
 9 771987 1869003

დაცულია საავტორო უფლებები.  
 რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიებში მოყვანილი ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.